ეს არ იყო აზრჯანსაღი ქართველი ხალხის ხმა, ეს იყო დამნაშავე ნაციონალთა პოლიტიკური დემაგოგია!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოვანი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 მაისი, 2015 წელი.

№83 (7728)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

SIC! – დივერსია

სხვა რა შეიძლება ეწოდოს „რუსთავი 2“-ის გუშინწინდელ სრულმასშტაბიან დემარშს?

გამოკითხვა ერთბაშად თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით: გაგიუარესდათ თუ არა ცხოვრება 2012 წლის შემდეგ და ამის გამო უნდა გადადგნენ თუ არა პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი?

სატელევიზიო „ცოცხალ გამოკითხვას“ მთელს ამერ-იმერში ინტერაქტიური გამოკითხვაც ერთვოდა და „რუსთავი 2“-მა, ანუ ნაციონალურმა მოძრაობამ, ანუ ზარბაზნიანმა ოპოზიციამ მიიღო ის პასუხი-დასკვნა, რისთვისაც მთელი ეს ბაზარ-ბაზარ სვლები მოეწყო: ხალხს თურმე 2012 წლის შემდეგ ცხოვრება გაუუარესდა, ქვეყანაში საშინელი კრიზისია და ამიტომ პრემიერ-მინისტრიცა და მისი ეკონომიკური გუნდიც უნდა გადადგნენ, ანუ, თუ ყველაფერს იმ სახელებს დავარქმევთ, რაც ტელეეკრანიდან ისმოდა, „მოუსავლეთში უნდა გადაშენდნენ“.

მძიმე, დამთრგუნველი სანახაობა მოაწყო კობრა გაბუნიამ.

ცარიელი ბაზრები, გაავებული, გაბოროტებული მოვაჭრეები, ქალები, კაცები. მეტადრე ქალები, რომლებიც მთელი დღე ვერ ახერხებენ პურის ფულის შოვნას, ანუ ბაზარში გამოტანილი ხილის, ყველის თუ ძველმანების გაყიდვას, რადგან „მყიდველი არ ჩანს, ხალხს ფული არა აქვს“...

მაგრამ ამ საერთო გმინვასა და წყევლა-კრულვაში, შეიძლებოდა პასკიდან ქიშმიშის გამორჩევა: ეს 2012 წლიდან დაწყებული გაძაღლებული ცხოვრება, კაცმა რომ თქვას, გასული შემოდგომის მიწურულიდან დაწყებულა, როცა ლარმა რყევა დაიწყო და ბოლოს უღვთოდ ნაჭენები ცხენივით მუხლმოკვეთილი დაეცა.

ისიც ისმოდა, რომ ჯანდაცვის რეფორმა „ერთადერთი დადებითია“, თუმცა, ჩვენი მოცვეთი, კვესიტაძის ჯურის, რუსთავორელი შხამკოლეგები მოხერხებულად მიაყურისძირებდნენ ხოლმე ამგვარ ერესს.

ზოგიც, უმწიფარი მაია ასათიანის მსგავსად, თავისი „ცნობადი“ პერსონის წარმოჩენით და უბადრუკად ჩამოცინგლული „სატოპკე“ შეკითხვებით ახერხებდნენ რესპონდენტთა პროვოცირებას.

რაც მთავარია, ასეთი სტრესის მიუხედავად, გიჩნდებოდა პროტესტის გრძნობა, რომ საქართველო მხოლოდ ეს უბედური მოვაჭრე ქალბატონები ან კლიენტის მოლოდინში ჩამომწყდარი ტაქსისტები არ არიან.

არის კატეგორიებიც ადამიანებისა, რომელთაც სხვაზე ნაკლებად არ უჭირთ, მაგრამ იმედებიც აქვთ, რომ მოხდება ლარის ვარდნის შეჩერება, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, რომ დრო კიდევ არის, რომ ბევრი რამ კარგიც გაკეთდა...

ასეთმა სახეებმა დიაღაც გაიელვეს, მაგრამ უმალ ჩაიკარგნენ გაავებულ ზღვაში.

განა იმიტომ, რომ ისინი ცოტანი არიან, უბრალოდ, მათთვის მიკროფონი არავის მიუწვდია, ან, და ეს უფრო სწორი და მოსალოდნელია, რომ ჩაიწერეს კიდეც, მაგრამ, როგორც „საერთო სურათის დამრღვევნი“, ეკრანზე ველარ მოხვდნენ.

ისე, ნიშანდობლივი იყო ერთი ქუთაისელი ინტელიგენტის სევდიანად გამეორებული ჭეშმარიტება, რაც ხალხია, ისეთი ხელისუფლებაც ჰყავსო.

ხელისუფლებაზე გამახსენდა. გამოიკვეთა ერთი საინტერესო მოვლენა – ხალხი ძირითადად აგინებდა არა ხელისუფლებას, მთავრობას, არამედ ბიძინა ივანიშვილს: „ვენდეთ, იმდენი რამ შეგვპირდა! გვეგონა, ფულიანი კაცია და მოგვხედავსო, მაგრამ მოგვატყუა“. ალბათ, დაგამახსოვრდათ, ერთმა-ორმა მხცოვანმა ქალბატონმა სასწაულებრივად შეჩენილი ორი ღერი კბილიც გააკრაჭუნა, რომ შემეძლოს, ყელს გამოვღადრავდი მაგ ქურდსო(!?).

ამდენად, მოლოდინი იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის მილიარდებს ხალხს ჩამოურიგებდა, მართლაც დიდი ყოფილა. და ამ ამაო მოლოდინით გაღიზიანებაც ნაკადულად ერწყმის უკმაყოფილების მდინარეს.

ერთიც, გამოკითხულნი გამოჰყოფენ ფინანსთა მინისტრ ხადურს, როგორც არსებულ კრიზისში, ლარის უბედურებაში მთავარ დამნაშავეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ „რუსთავი 2“-მა გუშინწინ ერთობ ნიჭიერად, მიზანსწრაფულად შეასრულა დასახული ამოცანა: „წარმოაჩინა არსებული ხელისუფლებით საყოველთაო სახალხო უკმაყოფილება“, ის, რომ „ხალხი ხმას აღარ მისცემს „ოცნებას“, რომ „ხალხი ელის ნაციონალების, სააკაშვილის დაბრუნებას“...

ისე აგიშენდათ ოჯახი!..

მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა ინფორმაციის მასობრივი საშუალებების როლი „რევოლუციების“ აგორებაში (თუნდაც ის, რომ „რუსთავი 2“-მა შევარდნაძის დროს ერთხელ უკვე შეიწირა მთავრობა, მას მაგალითად უნდა ჰქონდეს).

პრესის თავისუფლებად ოცნებამ მხოლოდ ის მიიჩნია, რომ ტელეარხ „რუსთავი 2“-ს ყველაფრის უფლება მისცა, თვით ანტისახელმწიფოებრივი, გამოკვეთილად მტრული პროპაგანდისაც კი, ვერ მიხვდა, რომ კრაზანების ბუდისთვის უნდა დაეპირისპირებინა თანაბარძალოვანი არხი, უნდა მიმხვდარიყო პრესის როლს და შემოემტკიცებინა ბეჭდური მედია და ა. შ. არადა, როცა ჯინი ბოთლიდან ამოვიდა, უკვე ძნელია დაკარგულის ამოქაჩვა, მაგრამ, იქნებ, არა შეუძლებელი!

SIC! ეს ტელედივერსია პირველი იყო, მაგრამ არა – უკანასკნელი. ასეთი დივერსიებიდან ხალხის ჭკუიდან გადაყვანამდე კი ერთი ნაბიჯია.

ხომ ნახეთ, 21 მარტის „სახალხო გამოსვლამ“ შედეგი ვერ გამოიღო – ხალხი არ მოზვავდა ნაცების პირდაპირ დაძახილზე ძველი ნაკადი მეთოდით: სამეგრელოდან მძლავრ ნაკადად ავტობუსებით წამოსვლით.

ახლა ახალი სტრატეგია ამუშავდა – ტელედივერსიები. თუ ხელისუფლებამ ამას რაიმე ქმედითი არ დაუპირისპირა, ის როდისმე აფეთქდება.

მერე საქმეს ვერც მარშალი თინა ხიდაშელი უშველის და ვერც ხადურის ფინანსური გენია.

ალეკო ასლანიშვილი

თემის გაგრძელება იხ. 2-3 გვ.

„ცრემლიანი გენერალი“

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ (ᲔᲜᲘᲗ!) ᲒᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲔ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ, – ᲩᲐᲘᲚᲘᲛᲘᲚᲐ „ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐ ᲑᲘᲭᲛᲐ“, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲪᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲘᲐᲞᲧᲠᲝ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ: ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ... ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ „ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ“.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲝᲯᲮᲝᲔᲗᲘ, ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ „ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲘᲗᲘᲗᲫᲛᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲡᲐᲐᲗᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ!

რა თქმა უნდა, დაიწყეს სააკაშვილის საყვარელი ზუგდიდიდან და „ქართული ოცნების“ მთავრობას, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებს მეგრელი ქალების, ბაზარში მოვაჭრე გადამყიდველების ისეთი წივილ-კივილი მოგვასმენინეს, ხვიჩას და გოჩას სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გატაცება მონაგონია.

რა თქმა უნდა, სიუჟეტს აგვირგვინებდა ძალად დასერიოზულებული ზუგდიდელი ტაქსის მძღოლების მონოლოგი: ᲮᲐᲚᲮᲡ ფული არა აქვს, კლიენტი არ მოდის, 5 ლარიც ვერ მიგვაქვს სახლში, ასეთ მძიმე დღეში არასოდეს ვყოფილვართ!..

ტაქსის მძღოლების გულისწყრომას გამიზნულად იყენებენ „რუსთავი-2“-ის მეჯოჯოხეთეები არა ოდენ ზუგდიდში, არამედ თბილისშიც, ბათუმშიც, ქუთაისშიც... ბოლო მონაცემებით, თბილისში 50 ათასზე მეტი ამორტიზებული კერძო ტაქსი დადის და არც ერთი მათგანი ერთ ლარსაც არ უხდის სახელმწიფოს. თანაც, თითოეულ მძღოლს თვეში 500-ლარიანი სამსახური რომ შესთავაზო, კატეგორიულად იუარებს, მძიმე შრომა არ შემიძლიაო, თანაც – 500 ლარი რას მეყოფაო!

ასეთია ორი საუკუნის განმავლობაში „საძოვარზე მიშვებული“ ჩვენი ამაყი ერის დღევანდელი ცნობიერება, აშკარად ავადმყოფური მენტალიტეტი.

– რამდენი კარგი რამ გაკეთდა, მარტოოდენ დაზღვევის პროგრამა რად ღირს, ან სოფლის განვითარების პროგრამა, გლეხებისთვის ვაუჩერების დარიგება, მიწების უფასოდ მოხვნა, უფასო სახელმძღვანელოები, უფასო ბაღა-ბაღები, – უთხრა ზუგდიდის მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელმა კოტე გურგულიანმა „რუსთავი-2“-ის შხამიან ჟურნალისტს, თუმღაცა, სახელი და გვარი არ გაუმხილა... გაბრაზებულმა ჟურნალისტმა მაინც გაიგო მისი ვინაობა და იქედნურად „დაემუქრა“ – თქვენს აზრს ბოლომდე გავუშვებ ეთერში და იმასაც ვიტყვი, რომ თქვენ ერთადერთი ადამიანი ᲮᲐᲠᲗ მთელ ზუგდიდში, ვისაც ახალი ხელისუფლება მოგწონთო!

აი, ამ ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული გადაცემის მთავარი მიზანი, – „ოცნების ხელისუფლება ᲮᲐᲚᲮᲡ ატყუებს, ბიძინა ივანიშვილი „ძალიან ცუდი“ კაცია და მთავრობის გადაყენება აუცილებელიაო...

დაახლოებით ასეთი, ერთმანეთზე უარესი სიუჟეტები გვიჩვენეს ნანუკა ჟორჟოლიანმა და ეკა კვესიტაძემ თბილისის ბაზრობებიდან და ქუჩებიდან, მაია ასათიანმა ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲓᲐᲜ, ეკა ქადაგიშვილმა ფოთიდან, გვანცა სუთიძემ გორიდან, მაია ლომიძემ ოზურგეთიდან, თეა ადეიშვილმა ქუთაისიდან, ეკა გაგუამ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ, პაატა იაკობაშვილმა რუსთავიდან, დავით კაკულიამ დევნილთა განსახლების ადგილებიდან (თბილისის ზღვა, ბაგების „სტუდქალაქი“, წყნეთი).

შედარებით ზომიერი და ადამიანური იყო დიმა ობოლაძის (თელავიდან) და დავით კიკალიშვილის (ბათუმიდან) შეკითხვები ადგილობრივი რესპოდენტებისადმი. პასუხიც ასე თუ ისე მისაღები.

სიტუაციის დასაძაბად მთავრმა მეჯოჯოხეთემ – ნაციონალთა თავქარიანი „პრეზიდენტის“ მიხეილ სააკაშვილის მიერ „რუსთავი-2“-ის – სიცრუის კანტორის დირექტორად დანიშნულმა ნიკა გვარამიამ გადაცემაში სპეციალურად ჩართო ქართული ჟურნალისტიკის მთავარი იქედნეს, ერთობ გამოცდილი მოჩუხჩუხე საწამლავის აკაკი გოგიჩაიშვილის და მისი ახალი ქვეშევრდომის მიშა სესიაშვილის ძველი სიუჟეტები „ბიზნეს-კურიერიდან“. აბა, ეს უნდა გენახათ, რა იყო, სიტყვით მკვლელმა არამზადებმა მიწასთან გაასწორეს გიჟი სააკაშვილის არაადამიანური, ანტიეროვნული, საქართველოს დამქუცმაცებელი, მკვლელი, 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყები, ერის ფიზიკურად გამანადგურებელი (2003-2012 წლებში საქართველოს მოსახლეობა 700 000-ით შემცირდა!!!), ათასი ᲯᲣᲠᲘᲡ სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული არაკაცის და მისი რეჟიმის მშვიდობიანად (ვიმეორებ – მშვიდობიანად!) დამსრულებელი ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთელი „უნიათო“ მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობა და... ყველა ამათი მხარდამჭერ-ამომრჩეველი.

სიცრუის „კონკრეტულ“ ფაქტებზე დაყრდნობით აკაკი გოგიჩაიშვილმა და მიშა სესიაშვილმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს „ოცნების“ „კორუმპირებული, ნეპოტისტური“ მთავრობა, საქართველოს „ეკონომიკის დამაქცევარი“ ცალკეული მინისტრები, იმათი მოადგილეები, გუბერნატორები, თვით ახალი ბიზნეს-ომბუდსმენიც კი!!!

ეკრანიდან ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ისმოდა სააკაშვილის და მთელი სანაცეთის სატელევიზიო კანტორის კიდევ ერთი მთავარი მიზანი – მიშას გათეთრების, ხელისუფლებაში დაბრუნების ავადმყოფური სურვილის მაუწყებელი წინადადებები: „მიშა გარე-გარე დარბოდა თუ გვატყუებდა, რაღაცას აკეთებდა, ის უნდა მოვიყვანოთ ისევ“... „პაპაზოლი დამაქვს ᲯᲘᲑᲘᲗ, რო დავლიო, გადაშენდეს ბიძინა ივანიშვილი და მოვიდეს მიშა“... „საქართველოს პატრონი არა ᲰᲧᲐᲕᲡ, გადაშენდნენ ესენი“... და სხვა მრავალი.

ტელევიზია ᲮᲐᲚᲮᲡ რომ ერთმანეთს ასე უტიფრად უპირისპირებს, ამდენ შხამსა და ბალღამს, ტყუილსა და უხამსობას რომ რეალობად ასაღებს, შეიძლება თავისუფალი სიტყვა და დემოკრატიის მსახური ეწოდოს?!

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲯᲕᲘᲐ ᲔᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ, ᲐᲓᲠᲔ ᲕᲗᲘᲫᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲫᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ, ᲔᲙᲐ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲘᲡ, ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲝ�გᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲐᲓ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲣᲫᲐᲠᲐ (ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲯᲝᲯᲮᲝᲔᲗᲡ ᲛᲝᲒᲘᲬᲧᲝᲑᲗ!) ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ. ᲩᲐᲡᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲩᲐᲛᲨᲕᲔᲑ-ᲓᲐᲛᲡᲐᲛᲔᲜᲘ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲡᲩᲐᲓᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ „ᲠᲘᲒᲘᲗᲘ“ ᲥᲣᲠᲓᲒᲐᲪᲐᲪᲔᲑᲘ.

ქურდი ფულს ან სხვა ქონებას მოგპარავს, აკაკი გოგიჩაიშვილის თუ ეკა კვესიტაძის მსგავსი ჟურნალისტები კი – ღირსებას, სინდის-ნამუსს და სულს. ყოველივე ამას აშკარად მივყავართ „შარლ ებდოს“ ბედისწერისკენ. „რუსთავი-2“ ამ საშინელებას აშკარად ვერ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ“...

ენამოსარსალე გიორგი გაბუნიამ გადაცემის ბოლოს, შუაღამის ორის ნახევარზე, კიდევ ერთხელ გაათახსირა ეროვნული ვალუტა, როცა წაიქირქილ-წაიდემაგოგა: პარლამენტში საგამოძიებო კომისია თუ რაღაც მსგავსი შეუქმნიათ ლარის ვარდნის მიზეზების შესასწავლად, თუმცაღა, მეეჭვება, კომისია როცა ამას შეისწავლის, ლარი საერთოდ იქნება?

ᲚᲐᲠᲘᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲯᲣᲚᲘᲔᲢᲝᲕᲘᲩ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲪ“ ᲓᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲗᲕᲣᲠ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲝᲢᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲡᲐᲪ ᲘᲩᲠᲘᲗ!..

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲒᲣᲚᲘᲐ

ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲗ!

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲬᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲰᲔᲑᲔᲚᲡᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ 5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲗᲮᲠᲔᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲗ („ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ“) ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲡ ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲦᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲕᲠᲔᲚᲨᲘ ᲫᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲝᲦᲝᲜᲓᲐᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲝᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲐ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

◎ ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ!

VOX POPOLI – VOX DAY!

ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲨᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ Vox Popoli-Ს (ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲛᲐ) ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲜᲔᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲗᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲚᲐᲘᲢᲛᲝᲢᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲡᲚᲓᲔᲕᲓᲐ ᲗᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲭᲛᲔᲓᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲣᲜᲐᲠᲝᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ.

თუ სიმართლეს და ემოციებს გვერდზე გადავდებთ და ამ გადაცემას ტექნიკური თვალით შევხედავთ, „რუსთავი-2“-მა პროპაგანდის თვალსაზრისით, საკმაოდ ძლიერი გადაცემა გააკეთა. გააკეთა ის, რომ მთავარ მოთხოვნას, რომელიც ხალხმა ხელისუფლებას უნდა დაუყენოს, აბსოლუტურად სხვა ფორმა მისცა.

მთავარი აქცენტი უმუშევრობის ზრდაზე გაკეთდა. **აქცენტი კი გაკეთდა, მაგრამ არავინ თქვა, რომ ის საწარმოები, რომლებიც დაიხურა, ძირითადად ნაცებს ეკუთვნოდათ და თავიანთი ნამდვილი მფლობელებისთვის წართმეული იყო.** ბუნებრივია, რომ სამართლიანობის აღდგენის მოლოდინმა და შიშმა, მფლობელების მხრიდან მათი გაჩერება გამოიწვია. ბესო ხარძიანს პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი, რომ თუ მას წართმეული ქონება დაუბრუნდებოდა, ის 500 ადამიანის დასაქმებას შეძლებდა.

დღესდღეობით პროკურატურაში დაახლოებით 22000 საქმეა ნაცების მხრიდან ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე. იმ 22000 ბიზნესიდან თითოეულში საშუალოდ 50 ადამიანი რომ დასაქმდეს, სულ ცოტა 1 000 000 დასაქმებული გვეყოლება, ბიუჯეტის შევსებაზე რომ არაფერი ვთქვა.

ამიტომ მოსახლეობის მთავარი მესიჯი უნდა უნდა იყოს არა სახელმწიფოსგან დახმარებების მიღება, არამედ ბიზნეს-სამართლიანობის აღდგენა, იმ სამართლიანობის, რაც მდგრადი ეკონომიკის მთავარი გარანტორი იქნება.

მეორე მესიჯი უნდა იყოს ის, რომ ხმამაღლა ითქვას, თუ ვინ და რა ძალები აკონტროლებენ მომგებიან ბიზნესებს.

1. ყველამ კარგად ვიცით, თუ ვის ხელშია საბანკო სექტორი, ეროვნული ბანკიდან დაწყებული, კომერციული ბანკებით გაგრძელებული და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებით დამთავრებული.

2. კვების პროდუქტების, ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელების უმრავლესობა, ფარმაცევტული კომპანიები, ტელევიზიები დ.ა.შ. მათი უმრავლესობა ნაცების ხელშია.

3. რაც შეეხება საშუალო ბიზნესს: თბილისის მაგალითიდან ყველამ ვიცით, რომ მიმდინარეობს მშენებლობები, რომელთა უმრავლესობის ნამდვილი მფლობელები ნაცებთან და კონკრეტულად უგულავასთან დაახლოებული პირები არიან. მუშაობს სითი პარკი, ტრანსპორტის სამსახური, რომელთა რეალური მფლობელებიც ყველასთვის ცნობილია. ანალოგიური მდგომარეობა იქნება რეგიონებშიც.

4. ინვესტიციების შემცირება პირდაპირ კავშირშია საქართველოს №1 მტერთან მიხეილ სააკაშვილთან. პირდაპირ კავშირშია, რადგანაც მისი ვოიაჟები სხვადასხვა ფორუმებზე, მისი გამოსვლები სხვადასხვა ავტორიტეტულ ტელეკომპანიებში, ინტერვიუები სხვადასხვა პოპულარულ გამოცემებში, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართული და შორს გამიზნული ნაბიჯებია. სააკაშვილის ამ ანტიქართული საქმიანობის დამხმარე ძალა ევროსაბჭოში ნაცმოძრაობის წარმომადგენლების, საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი კანდელაკისა და ჩიორა თაქთაქიშვილის აქტიური მუშაობაა გიგა ბოკერიას მიერ მოსყიდულ სხვა ლობისტებზე რომ არაფერი ვთქვათ. სამწუხაროდ, ხელისუფლებასთან ასოცირებული ორიოდე ჟურნალისტი, რომლებიც ლატენტური ნაციონალები არიან, ამ მესიჯებს ვერ (ან არ) გაუშვებენ. ხელისუფლება სამართლიანობის ამ მიმართულებით აღდგენას ვერ (ან არ) ახერხებს.

მიზეზები ბევრია. საკმაოდ ბევრი.

1. სამართალდამცავ სტრუქტურებში კვლავ მრავლად არიან ნაცების მომხრეები.

მამლის მესამე დაყივლებამდე,

ანუ ფრთხილად, დამარცხებული კაცის ტელევიზიაა!

გასულ სამშაბათს, საღამოდან თითქმის მამლის მესამე დაყივლებამდე, „რუსთავი- 2“ იმის საავტორო პროგრამას აჩვენებდა, „ჯულიეტა ვაშაყმაძის ბიჭი რომ არის, უნიჭიერესი“ - ეს ჩემი აზრი არ გეგონოთ, „ ბაზარში გამოკითხული“ ერთ-ერთი ქალბატონის შეფასებაა, გაბუნიას გადაცემაში გაბუნიაზე რომ მოვისმინეთ...

გადაცემას, მოგეხსენებათ, „არჩევანი“ ჰქვია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მეორე სათაურიც ჰქონდა – „ხალხის აზრი.“ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ეს ორი სათაური რა საჭირო იყო, ის კი უთუოდ გაგახსენდებოდათ, ამ არხს ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ რომ ერქვა და სულ მალე „ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია“ უწოდეს. თუმცა, „ცრუსთავი – 2“ (ბევრი ასე მოიხსენიებს) ამას არაფრად დაგიდევთ, ახალ რევოლუციას ამზადებს და უტიფრად ცდილობს, დააბრუნოს ის დრო, რომლის გახსენებაზეც გონიერ ქართველობას „აურჟოლებს და ტანში ზარავს“...

ამ დიადი მიზნის მისაღწევად, „ცრუსთავი-2“-ს სრული მობილიზაცია ჰქონდა გამოცხადებული. რეგიონებში გაემწესებინათ ყველაზე წარჩინებულნი წამყვანნი, მათ შორის – კოდუას ცოლი, უტიაშვილის ცოლი...

ღმერთმა ნუ ქნას და რევოლუცია რომ გამოუვიდეთ, უთუოდ „ცოლების რევოლუცია“ (არ დაგავიწყდეთ მათი თანამებრძოლები: ბოკერიას ცოლი, უგულავას ცოლი, ახალაიას ცოლი...) დაერქმევა, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რევაზ ამაშუკელმა სულაც „კონჩიტების რევოლუცია“ უწოდოს - მე უკვე ვუწოდე, მაგრამ ეს პოეტის მიგნებაა და ვერ მივისაკუთრებ...

მოკლედ, ცოლები და კონჩიტები ერთად იბრძვიან!..

ხუმრობასავით გამომდის, არადა, საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ არის.

„ცრუსთავი-2“ , როგორც დამარცხებული კაცის ტელევიზია, ისევ იმ კაცის გასამარჯვებლად გააფთრებით იბრძვის. გაბუნია გაბუნიაა, მაგრამ ამ არხის სიმბოლოდ დღეს მაინც ეკა კვესიტაძე გამოდგება – გაბოროტებამდე განჩხლეტული, საერთოდ რომ დაუვიწყებია ერთ დროს აშშ-ში ნასწავლი ჟურნალისტური სტანდარტები, რომელთა თანახმადაც, პროფესიონალ ჟურნალისტს, უწინარესად, დაბალანსებულობა და კეთილგანწყობა მოეთხოვება. როცა ამ სტანდარტებს დაივიწყებ, ადვილი შესაძლებელია, საკუთარი მეუღლის მიერ აღებული პრემიები და მისი უფროსის (ერთ დროს გაღლეტილის) საოცარი გამდიდრების ამბავიც აღარ გაგახსენდეს...

* * *

სიყოჩაღეს კი „ცრუსთავი-2“-ს ნამდვილად ვერ დაუკარგავ: რა მარჯვედ გამოიყენა პრეზიდენტ მარგველაშვილის დემარში – ხელმოწერის ერთი კვირით გადადება, ანუ ის, რაც მმართველ გუნდს სასაცილოდაც არ ეყო. მართალია, დავით ბერძენიშვილმა კარგად იხუმრა, პრეზიდენტი ხელს ან მეშვიდე წუთზე აწერს, ან მეშვიდე დღეს, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ მარგველაშვილი სულაც არ ხუმრობს და არც ისეთი ხვითოა, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ...

შეუძლებელია, იმასაც ვერ აცნობიერებდეს, თუ რა ბედი ეწეოდა ამგვარი საქციელისთვის, პრემიერ-მინისტრი სააკაშვილი რომ ყოფილიყო. ბავშვმაც კი იცის, რომ დაუყოვნებლივ თავში მობილური არ ასცდებოდა, ხოლო კვირის ბოლომდე(ხელმოწერის ვადის ამოწურვამდე) ბუნებრივი აირით გაგუდვას ვერ გადაურჩებოდა...

ვიდრე პრეზიდენტი ხელმოწერას აჭიანურებს, „ცრუსთავი-2“ დროს არ კარგავს და „მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის გამოკითხვას ატარებს.“

ეს გამოკითხვა იმდენად ტენდენციურია, რომ თვითონვე უკვირთ, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ცრუსთავი-2“- ის მიკროფონის დანახვა ხომ არ აფრთხობთო?!

თითქმის ყველა გამოკითხული უკმაყოფილია. დადებითი აზრის მქონეთ „სანთლით ეძებენ“, მაგრამ რა ჰქნან, ვერსად პოულობენ(?!)...

მხოლოდ აქა-იქ თუ გაიელვებენ.

ერთმა ძალიან ღირსეულმა მამაკაცმა მშვიდად და გარკვევით უთხრა, ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ხელის შემშლელიც ბევრიაო...

მაინც ვინო, – ჩაეკითხა „ცრუსთავორელი“.

პასუხი მართლაც შთამბეჭდავი იყო – ძალიან კარგად იცის „რუსთავი - 2“-მა, ხელისშემშლელები ვინც არიანო...

იცის რომელია, მთავარი თვითონ არის.

* * *

მიხეილ ჯავახიშვილი უკვდავ „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავს არაერთხელ ათქმევინებს: „ახია ჩემზე!“

ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილმაც ხშირად უნდა გაიმეოროს.

დიახ, ახია მასზე!

ახია იმიტომ, რომ სააკაშვილი, ადეიშვილი და სხვები უპრობლემოდ გავიდნენ ქვეყნიდან;

ახია თუნდაც იმიტომ, რომ დამარცხებული კაცის ტელევიზიის სათავეში ის პროკურორი ზის, ოდიოზური „დოკუმენტური ფილმების“ სცენარებს რომ წერდა და ახალმა ხელისუფლებამ „ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრა“;

ახია იმიტომ, რომ ბარამიძე და თარგამაძე, ციხის ნაცვლად, პარლამენტში სხედან;

ახია იმიტომ, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელად კვლავ ქადაგიძე გვევლინება, ხოლო ქართული სასამართლოს მესაფლავე ბედავს და სახელმწიფო დაცვის შენარჩუნებას მოითხოვს!..

ბევრი მეტყვის, რა ქნას, იძულებულია, ამ ყოველივეს შეეგუოს, დიდ საერთაშორისო ზეწოლას განიცდისო.

თუ ასეა, მაშინ გამოვიდეს და ხალხს ყველაფერი გულახდილად უთხრას.

ხალხს ყველაზე მეტად სიმართლე სწყურია.

როცა ამ სიმართლეს დაინახავს, მთელი ერი გვერდით დაუდგება და ვინ იცის, იქნებ ასრულდეს კიდეც ლელთ ღუნიას ნატვრა : ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...

ეს დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, მამლის მესამე დაყივლებამდე.

მერე უკვე გვიანი იქნება...

იოსებ ჭუმბურიძე

ნაცები უნდა აილაგმონ!

„რუსთავი-2“-ის 5 მაისის გაბუნიასეულმა ცხადად ხალხის ანტისახელმწიფოებრივად ასაღელვებელმა გადაცემამ ყველას თვალნათლივ დაგვანახვა მძიმედ ბრალეული ნაციონალების შავი არჩევანი: როგორც არხის კერძო მფლობელის, ძებნილი სააკაშვილის მიერ გენერალურ დირექტორად დანიშნული, ცხრა თოკზე გადამხტარი გვარამია გვემუქრებოდა, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, ეს პროცესი ნამდვილად დაწყებულია.

გაკვირვებას იწვევს „მეოცნებე“ ხელისუფლების ყოველივე ამის ერთგვარი უსუსური მაყურებლობა. მაშინ, როცა ნაციონალებს თავიანთი ყოველდღიური შეუპოვარი პროპაგანდითა და აგიტაციით საზოგადოება სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიჰყავთ, რათა პოლიტიკურად მომგებიანი მდგომარეობა შეიქმნან, როგორც ღარიბაშვილის მთავრობა, ისე უმრავლესობა, არავითარ საპირწონე ღონისძიებებს არ მიმართავენ. არადა, როგორც ცნობილია, კონსტიტუცია პირდაპირ იძლევა იმის უფლება, რომ იმ შემთხვევაში, როცა ეგრეთ წოდებული ოპოზიცია არა კონსტრუქციულად, არამედ აშკარად დეკონსტრუქციულად, აშკარად მტრულად, არსებული სახელმწიფოებრივი ვითარებისთვის ძირგამომთხრელად იქცევა და არსებულივე ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებებს უხვად აფრქვევს, ხელისუფლებას არა მარტო უფლება აქვს, არამედ იგი ვალდებულია, რომ კანონის ძალით დროულად და მთელი სიმკაცრით ალაგმოს ასეთი ძალები, რასაც, დიდად სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვხედავთ.

და დამნაშავე ნაციონალთა ესოდენ გათავხედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, როგორც ჩანს, სწორედ ეს არის!

ხელისუფლებავ, თუ მართლა ხელისუფლება ხარ, იხელისუფლე! ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება!

კოტე ბუჩუკური
მცხეთა. პროფესორი

ქვეყანას ძირს უთხრიან

დამნაშავე ნაციონალებმა ამ დანაშაულის მონაწილე „რუსთავი-2“-ის საშუალებით აშკარად იდეოლოგიური ფრონტი გახსნეს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც „ევროპის გამაოცებელი დემოკრატიულობით“ იწონებს თავს და თითსაც არ ანძრევს ნაციონალთაგან გახსნილი ამ იდეოლოგიური ფრონტის მოსაგერიებლად!

და ამასობაში ქვეყანას ნელ-ნელა ძირი ეთხრება!

რუსუდან მეგონია,
გუგლიდი

◎ არა, არ გამოუვიდა!

2. სახელმწიფო სტრუქტურებს (იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები), რეკლამები (ანუ ბიუჯეტის თანხები) „რუსთავი-2“-ში მიაქვთ. ასევე ქალბატონ თეა წულუკიანს „ძალიან მოსწონს გიორგი გაბუნიას გადაცემა“ და ეკა ბესელიას პრესსამსახურის უფროსად „რუსთავი-2“-ის სახე, გიორგი მაისურაძე ჰყავს.

3. საგარეო უწყება გადაქცეულია უსაქმურების, ვიღაცის ცოლის დაქალის შვილების და ნათესავების თავშეყრის ადგილად, რომლებმაც არამც თუ ლობისტური საქმიანობა, ან ინვესტიციების მოზიდვაზე ზრუნვა, არამედ ყავის მოდუღება და კარგი შოპინგის ჩატარებაც არ იციან.

4. სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებულია პრინციპი: ოღონდ არაფერი გავაფუჭო და სჯობს, არაფერი გავაკეთო.

5. სასამართლო, რომლის გაწმენდა მხოლოდ ორიოდე კვირაა, რაც დაიწყო.

ამ ყველაფერს კი „ლეგიონის“ არ იყოს, ერთი სახელი, კოჰაბიტაცია ჰქვია. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლების ცვლილებას, აზრი არა აქვს, რადგანაც მთავარი საკითხი თუ არ გადაიჭრა, მნიშვნელობა არა აქვს, ხადური იქნება ფინანსთა მინისტრი, თუ ნებისმიერი სხვა გვარის კაცი.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და მოკლედ ვიტყვი, რომ მთავარი მოთხოვნა სწორედ სამართლიანობის და პირველ რიგში, ბიზნეს-სამართლიანობის აღდგენა უნდა იყოს და არა სახელმწიფოსგან და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილისგან ფულადი დახმარებების მოთხოვნა.

ახლა კი ნაწილობრივ შეგახსენებთ ნაციონალური მოძრაობის მიერ 2008-2012 წლებში გაცემულ დაპირებებს და ჩადენილ საქმეებს.

ნაციონალური მოძრაობის 50-თვიანი პროგრამის დაპირებები 2008-2012:

– გავამთლიანებთ საქართველოს.

– საქართველოს დავაბრუნებთ ევროპულ ოჯახში. შევალთ ნატოში და ჩვენი საზღვრების ურღვევობას სადარაჯოზე დაუდგება მთელი ცივილიზებული სამყარო. ეს იქნება საქართველოში ახალი ოქროს ხანის დასაწყისი და უმუშევრობის პრობლემა საქართველოში სამუდამოდ დამთავრდება.

– ავამოქმედებთ ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, რომელშიც აშენდება 450-მდე ქარხანა და დასაქმდება 20 000-მდე ადამიანი.

– ავაშენებთ ახალ პორტს, რომელიც არსებულზე 3-ჯერ უფრო დიდი იქნება და თავისუფალ სამრეწველო ზონასთან ერთად მთლიანად საქართველოში 35 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

– ავაშენებთ და გავხსნით ევროპასთან შემაერთებელ რკინიგზას, რომელიც 10 000 ოჯახს გაუჩენს სტაბილურ შემოსავალს.

– ჩვენი 50-თვიანი პროგრამის მიზანია, სიღარიბესთან ბრძოლაში დავეხმაროთ ჩვენს მოხუცებს, რათა სიბერე იყოს სიღარიბის გარეშე.

– მომავალ წელს საპენსიო პაკეტი 100 დოლარი გახდება.

– ჩვენი 50-თვიანი პროგრამის მიზანია, დავეხმაროთ ქართულ სოფელს, ფეხზე დავაყენოთ სოფლის მეურნეობა, გავაუმჯობესოთ სოფლის ცხოვრების პირობები.

– ჩვენი პროგრამით ავამუშავებთ საშუალოდ 100 ახალ სოფლის მეურნეობის საწარმოს ყველა რეგიონში და დავასაქმებთ სოფელს.

– მომავალი 25 თვის განმავლობაში გაზიფიცირებული იქნება 2 000 სოფელი, რაც ნიშნავს თითქმის მთელი საქართველოს სრულ გაზიფიკაციას.

– უფრო მეტად დავეხმარებით ფერმერებს ხვნა-თესვაში, გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ სოფელს ჰქონდეს გაზი, კარგი გზა, სარწყავი წყალი, თანამედროვე სკოლა და მედპუნქტი.

– საშემოსავლო გადასახადს 15%-მდე შევამცირებთ, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი.

– 1 200-ზე მეტი კარგად აღჭურვილი გადამზადებული სოფლის ექიმი იზრუნებს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ეს არის ჩვენი მანიფესტი, ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა, ეს არის გზა, რომლითაც ვივლით მომდევნო 50 თვის მანძილზე, ეს არის ჩვენი – საქართველოს სიღარიბისგან გათავისუფლება.

საქართველო გაბრწყინდება !!!

ჩადენილი დანაშაულების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგანაც ნაცები მათ ჩადენას დღესაც ჩვეული შემართებით აგრძელებენ და ყველამ ყველაფერი კარად ვიცით.

სწორედ ამიტომ ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილის შემდეგ შეკითხვაზე, გამოუვიდა თუ არა „რუსთავი-2“-ს Vox Popoli _ Vox Day! (ხმა ხალხისა – ხმა ღვთისა), ვიტყვი, რომ არა, არ გამოუვიდათ!

გია გაბრიჭიძე

◎ ტკივილიანი რეპლიკა

რა გიხარია... შე უბედურო?!..

იმ ხელებით, ორი აგური რომ უნდა გვეჭიროს, ტაშს რას ვუკრავთ?



ახლახან ძველი ნაცნობი შემხვდა, ერთი იმათნაირი, როგორც იტყვიან, ყურებამდე რომ არის ჩაძირული პოლიტიკაში. — **რიგის სამიტზე ევროპამ უვიზო რეჟიმი თუ დაგვიწესა, გავკეთდებითო! — უხაროდა.**

არ შევწინააღმდეგებივარ, რადგან უაზრობაა მასთან კამათი.

ევროპასთან, ცივილიზებულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის მოწინააღმდეგე რომელი ნორმალურია, მე რომ ვიყო. მათთან სიახლოვე და, მით უფრო, გვერდიგვერდ ფერხულში ჩაბმა, იცოცხლეთ, კარგია და ერთობ სასურველიც, მაგრამ ევროკავშირმა კეთილი სურვილი რომც გამოიჩინოს და პირთამდეც გაგვიხსნას ევროპაში შესასვლელი ალაყაფიც, თავად ჩვენ ვართ კი სრულად მზად მასში გასაწევრებლად?

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც შრომისადმი ჩვენი ამჟამინდელი დამოკიდებულებით? სოფლელი კაცი თავის სამოსახლოში მწვანილს რომ არ მოიყვანს და ქინძსა თუ ოხრახუშს ბაზარში იყიდის, რაზეა ლაპარაკი?

ჰოდა, ეპატრონებიან კიდეც „უპატრონო ეკლესიას“ — ქართულ მიწას — გადამთიელები!

თუმცა კმარა, კალამი გამექცა.

რაო, უვიზო მიმოსვლა პანაცეაა? ერთადერთი და უტყუარი შესაძლებლობაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა თუ ხალხის სოციალური ყოფის გაუმჯობესებისათვის (ტურისტად თუ მივლინებით წასვლა ხომ დღეს არც ერთ ქვეყანაში არ არის პრობლემა?)?

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, პირიქით იქნება. აქამდეც ხომ ლამის დაიცალა საქართველო შრომისუნარიანი მოსახლეობისგან, თანაც, ძირითადად, საზღვარგარეთ პარტიზანულად გადაპარულთაგან, და თუ აწი ამის გაკეთება ლეგალურად გახდა შესაძლებელი, მერე ვინ და რა ძალა დააკავებს ჩვენს დაუსაქმებელ ახალგაზრდობას, საზღვარგარეთ თუნდაც შავ მუშად სამუშაოდ რომ არის მზად?..

ერთი ახლობელი მყავს, უმაღლესდამთავრებული, ჯან-ღონით სავსე, ზრდილი და თავაზიანი ახალგაზრდა... წუნია სულაც არ არის, მაგრამ აქ ვერანაირი სამუშაო ვერ იშოვა.

ერთი პერიოდი პოლონეთში ცდილობდა სამუშაოდ წასვლას, მშენებლობაზე შავ მუშად, ან პარკების დამლაგებლად. მოწვევაც გამოუგზავნეს იქიდან. საქართველოში პოლონეთის საელჩოში მიიწვიეს გასაუბრებაზე (თუმცა, მანამდე ამ უკანასკნელის ანგარიშზე ნასესხები ოთხასი დოლარი შეიტანა, სხვა წვრილმან ხარჯზე რომ არაფერი ვთქვათ), სადაც დაიწუნეს და იმ ნასესხებმა დოლარებმაც... ჩაილურის წყალი დალიეს.

ჰოდა, ახლა ზემოთ ნახსენებ იმ ჩემს ნაცნობს მინდა გავუმეორო უკვე ნათქვამი: თუ უვიზო რეჟიმი დაგვიწესეს, შენი აზრით, ვინ და რა ძალა შეაჩერებს ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ წასვლის მოსურნეებს, რომელთაც აქ სამსახური ვერ დაუწყიათ?

ხომ მთლად დაიცლება საქართველო?

მუხრან მაჭავარიანს აქვს ასეთი სტრიქონი — რა გიხარია, შე შობელძაღლოო.

მე საამისოდ ვერ გავიმეტე ჩემი უშნოდ ატროკებული ნაცნობი და შობელძაღლო უბედურად გადავაკეთე.

არა, ევროპაში და ევროპელებთან ყოფნა როგორ არ მინდა, მაგრამ ჩვენდა საზიანოდ — არა!

არ მინდა, საბერძნეთის მაგალითის მოხმობა, არც ესპანეთსა თუ ზოგიერთ სხვა შეჭირვებულ ეკონომიკიან ქვეყნებს შევეხები. პოსტსოციალისტური ბანაკიდან დავასახელებ თუნდაც ბულგარეთს. **იგი ცხრა წელია, ევროკავშირის წევრია, მაგრამ ამით ეკონომიკური მდგომარეობა იოტისოდენადაც გაუუმჯობესდა კი არა, ძველი პრობლემების მოგვარებაც ჯერ არ დაწყებულა.**

იმიტომ, რომ ევროკავშირი უძლურთა და უპოვართა პანსიონი კი არ არის, შენ, გულხელდაკრეფილი და სამოწყალოდ ხელგაშვერილი გარჩიხოს! იგი თანასწორად მიგიღებს, მაგრამ სხვათა თანაბრადაც მოგთხოვს.

ვართ კი ამისთვის მზად, როგორც ვთქვი, თუნდაც შრომისადმი ამჟამინდელი დამოკიდებულებით და ჩვენი ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობით? თუ თავი აგურის საცემად გვენანება, იმ ხელებით ბარი მაინც მოვიმარჯვოთ!

ხომ გახსოვთ, ჩემო იმანო, რა უთხრა უფალმა წყალწაღებულს, ხელი გაანძრიე და გეშველებაო!

ვითომ უფალზე მეტი (მეპატიოს ამგვარი მკრეხელური შედარება!) გულმოწყალე და შემწყნარებელია ევროკავშირი?

მეტი არაა მტერი!

რუსლან რუსია

◎ ალიან-ჩალიანი

პატრიარქმა გიორგობის დღესასწაული პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს მიულოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გიორგობის დღესასწაული, განსაკუთრებით მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც, პატრიარქის თქმით, გიორგის სახელს ატარებს. ამის შესახებ ილია მეორემ წმინდა გიორგის ხსენების დღესთან დაკავშირებით, ქაშუეთის ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, ჩვენ გვყავდა 12 მეფე, რომელიც გიორგის სახელს ატარებდა. პატრიარქმა მათი სულები მოიხსენია. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, წმინდა გიორგი არის საქართველოს სიმბოლო, საქართველოს მფარველი. იგი მუდამ იცავდა, იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოს.

ბიზნესფორუმისათვის დახარჯული თანხის დიდი ნაწილი სახელმწიფოს რჩება

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, თბილისში EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნეს ფორუმის მასპინძლობისთვის 17 მილიონზე მეტი დაიხარჯა, აქედან 14 მილიონის უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფოს დარჩება. ამის შესახებ ღარიბაშვილმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ორგანიზების უზრუნველყოფის სამთავრობო კომისიის სხდომაზე განაცხადა. მანამდე კი, პრემიერმა მიმდინარე სამუშაოები პარლამენტსა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დაათვალიერა.

„ყველაფერი არის ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული, მინდა, მადლობა გადავუხადო EBRD-ს, ამ ღონისძიების თბილისში ჩატარებისთვის. ეს არის ნდობის დემონსტრაცია ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი ხელისუფლებისადმი და ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ასეთი ღონისძიება კავკასიაში პირველად ტარდება და ის, რომ საქართველო მასპინძლობს EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნესფორუმს, ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების დემონსტრაციის კუთხით გატარებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა და განხორციელებული პროექტების დამსახურებაა.

ვმუშაობთ, რომ მთავრობას და პარლამენტს მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მთავრობის თხოვნის შესახებ განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა პარლამენტში ვადაზე ადრე წარადგინოს. საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, „გადადების პროცესიც“ პარლამენტისა და მთავრობისთვის ხელის შეწყობა იყო.

„თქვენ იცით, რომ ჩემი მთავარი მოტივაცია იყო, გამართულიყო მშვიდ გარემოში კონსულტაციები. მე კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენ ამას მივაღწიეთ. ვნახეთ, რომ გაიმართა უმრავლესობის პოლიტსაბჭოს სხდომა, როგორც წესი იყო, ასევე შედგა განხილვები დეპუტატების მიერ, ეს ნორმალური და დემოკრატიული წესია, რომელისკენაც ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროცესმა მოიტანა პოზიტიური შედეგი. ვმუშაობთ იმასთან დაკავშირებით, რომ, რაც შეიძლება ხელი შევუწყოთ პარლამენტს და მთავრობას მუშაობაში, ჩემს მიერ პარლამენტის და მთავრობის წარდგენის გადადებაც ამ პროცესის ხელის შეწყობა იყო“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა დუშეთში ჟურნალისტებთან საუბრისას. საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა პარლამენტს დასამტკიცებლად უკვე გადაუგზავნა. ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაგვიდასტურეს. მათივე ცნობით, შესაბამისი დოკუმენტი პარლამენტის კანცელარიას უკვე ჩაბარდა.

ყველამ პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას

ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იმ ინიციატივის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, რომლის თანახმადაც პარლამენტში დასამტკიცებლად მთავრობის წარდგინების უფლებამოსილება პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქონდეს.

„ეს არც პრემიერის გადასაწყვეტია, არც რომელიმე ოპოზიციის წევრის თუ პარლამენტის დეპუტატის. ეს არის კონსტიტუციით განსაზღვრული. ასე რომ, ჩვენ ყველამ უნდა დავიცვათ კონსტიტუცია და პატივი ვცეთ მას“, — განაცხადა პრემიერმა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე პრეზიდენტის კონსტიტუციურ ვალდებულებას — წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის განახლებული შემადგენლობა ნდობის მისაღებად, „ჩარჩენილ ნორმას“ უწოდებს. როგორც ხმალაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პირადად მისი და არა მხოლოდ მისი აზრით, პრეზიდენტის ეს კონსტიტუციური ფუნქცია არალოგიკური და არაბუნებრივია.

„პრეზიდენტს აქვს ერთადერთი ვალდებულება — ერთი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგინოს მთავრობის შემადგენლობა. მას არა აქვს უფლება, რაიმე ცვლილება შეიტანოს მთავრობის შემადგენლობაში. უფრო მეტიც, პრეზიდენტი არ მონაწილეობს მთავრობის ფორმირების პროცესში. არანაირი ვალდებულება არავის არა აქვს, პრეზიდენტთან გაიაროს კონსულტაციები მთავრობის შემადგენლობის თაობაზე. თუკი სურვილი აქვთ, შეუძლიათ. ასეთი ვალდებულება არ არსებობს და არც არსებობდა არასდროს. თუ გნებავთ, ადრინდელი შემთხვევები გაიხსენეთ — პრეზიდენტთან კონსულტაციები არ ხდებოდა, რადგან კონსტიტუცია ამბობს, რომ პრეზიდენტი არ მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში. ის არ მონაწილეობს არც აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში. ეს არის ორი კონსტიტუციური სუბიექტის — პარლამენტის და მთავრობის, კონკრეტულად კი, პრემიერ-მინისტრის საქმე. ამიტომ აქ პრეზიდენტის მონაწილეობა უფრო არის ჩარჩენილი ნორმა — ადრე რომ არსებობდა, სხვა მოდელი რომ იყო, მაგრამ ეს ნორმა არის და პრეზიდენტის ფუნქცია და ვალდებულებაა, მთავრობის შემადგენლობის პარლამენტში წარდგენა“, — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

საქართველოს პრეზიდენტი მზად არის, თინა ხიდაშელს შეხვდეს

შესაბამისი განცხადება მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში დუშეთში გააკეთა. გიორგი მარგველაშვილი შეხვედრის თაობაზე თავად თავდაცვის მინისტრის სურვილს გამოეხმაურა. „ბუნებრივია, შეხვედრისთვის მზად ვარ. თინა ხიდაშელს ახლა აქვს რთული დღის წესრიგი პარლამენტში, რადგან უნდა დამტკიცდეს მინისტრად. მას შევხვდები ყოველთვის აბსოლუტურად დიდი გახსნილობით, იქნება ის თავდაცვის მინისტრი თუ დეპუტატი, ეს ურთიერთობა მანამდეც იყო, გრძელდება და გაგრძელდება“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ზოგადად თავდაცვის მინისტრის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხს, პრეზიდენტის განმარტებით, მას სურს, რომ ამ კუთხით იყოს მეტი სტაბილურობა.

„კონსტიტუცია არანაირად არ გულისხმობს არც ერთი მინისტრის საკითხზე პრეზიდენტთან კონსულტაციას, თუმცა, მიმაჩნია, რომ კონსულტაცია ზოგადად დადებითი პროცესია. რაც შეეხება უშუალოდ თავდაცვის მინისტრს, მე ხაზგასმით ვთქვი ის, რომ ასე ხშირად თავდაცვის მინისტრები არ უნდა იცვლებოდნენ. ქვეყანას, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გვაქვს გადასადგმელი, ამ სფეროში განსაკუთრებული სტაბილურობა მართებს“ , — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

ინტერპრესი

რას მოგვიტანს „მხილება“?

რა კულუარული ინფორმაცია აქვს ივანიშვილს მარგველაშვილთან დაკავშირებით?

ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილთან დაკავშირებით კულუარული ინფორმაციების გასაჯაროებას აპირებს. მისი განცხადებით, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ გუნდთან ერთად მოსული პრეზიდენტი მეორე დღესვე საკუთარ გუნდს დაპირისპირებოდა. მისი თქმით, „ჩვენმა პრეზიდენტმა ამ მხრივ თავი გამოიჩინა. ხოლო რაც გააკეთა გუშინწინ, ამით აგრძელებს ამ პოლიტიკას და აბსურდში რჩება“.

თუმცა, თუ რა ხდება რეზიდენციასთან დაკავშირებით და, ასევე, რა ხდებოდა კულისებში, ბიძინა ივანიშვილი ამ ყველაფერს ერთ-ერთ გადაცემაში ხანგრძლივ დროს დაუთმობს და იმ ნაწილს გამოაშკარავებს, რაც საზოგადოებამ არ იცის.

— რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტს და რა სიურპრიზს უმზადებს მას ივანიშვილი? ამის შესახებ For.ge სამართლის ექსპერტს ლევან ალაფიშვილს ესაუბრა.

— ივანიშვილი მარგველაშვილთან დაკავშირებით კულუარული ინფორმაციის გასაჯაროებას აპირებს. ის აცხადებს, რომ ამით შეიძლება, დაეხმაროს და გაუიოლოს საქმე პრეზიდენტის ინსტიტუტს, რომ პრეზიდენტი თავის ქვეყანას ღირსეულად მოემსახუროს. თუ იცით, რომელ დაფარულ ინფორმაციაზეა საუბარი, ეს ხომ არ გააღრმავებს მეტ ბზარს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის და რა უნდა იყოს ამ ინფორმაციის გამჟღავნების საბოლოო შედეგი?

— ეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ იქნება. გარდა ამისა, ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი პასუხი ახლადდანიშნულმა თავდაცვის მინისტრმა გასცა და თქვა, რომ გიორგი მარგველაშვილი არის უპარტიო, ყველა პარტიისა და ყველა მოქალაქის პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური. შესაბამისად, ეს მოცემულობა და პოზიცია არის ყველაზე სწორი და სახელმწიფოებრივი, თუნდაც იგი რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს არ მოსწონდეს.

— თინა ხიდაშელი რომ გამოვრიცხოთ, ზოგადად, კულისებში რა ხდება? ამ ამბის გამომზეურება რაკი დასჭირდა ბიძინა ივანიშვილს, ალბათ, გამოამჟღავნებს კიდეც. იქნება ეს კოზირი ივანიშვილისთვის მარგველაშვილის წინააღმდეგ?

— ასე არ ვფიქრობ. ამით შეიძლება, სახელმწიფოებრიობა დაზიანდეს, მაგრამ ტერმინს — „კოზირი“ ცოტა სხვა მნიშვნელობას ვანიჭებ, მით უმეტეს, პოლიტიკურ ცხოვრებაში. რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ე.წ. კოზირმა მის მფლობელს? გადადგომასთან დაკავშირებით იმაზე მეტი დარტყმები, რაც მთელმა პოლიტიკურმა გუნდმა პრეზიდენტს მიაყენა, არა მგონია, კიდევ იყოს. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა თქვა, იცით რა, მე დავრჩები სახელმწიფოს მეთაურად. ასე რომ, ე.წ. კოზირი მისი მფლობელის ხელში შედეგის მომტანი ვერ იქნება. პრეზიდენტი არ გადადგება. გადადგომის მიმართულება გამორიცხულია. რაც შეეხება იმპიჩმენტის პროცედურას, მგონი, ამაში ყველა დარწმუნებულია, მათ შორის, მარგველაშვილის ყოფილი პოლიტდამკვალიანებლები ან მისი მხარდამჭერები, რომ რეალურად კანონდარღვევა მარგველაშვილის ქმედებაში, გულითაც რომ უნდოდეს, ვერ იქნება. უბრალოდ, იგი ამას ვერ მოასწრებდა, რადგან, ჯერ ერთი, დროის მცირე მონაკვეთია გასული და, მეორე, იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას მოცილებულია. შესაბამისად, ისეთი გადაწყვეტილებები, რომელმაც მისი კანონსმიღმა ქმედება შეიძლება გამოიწვიოს ან მოტივატორი გახდეს, გამორიცხულია. შესაბამისად, რა უნდა იყოს მოსალოდნელი ბიძინა ივანიშვილისგან? მარგველაშვილის დისკრედიტაცია? რა ვიცი, აბა, ამაზე ვერაფერს გეტყვით, გარდა ერთი ფაქტისა, ამგვარი ქმედებების დამსახურებაა, რომ მარგველაშვილის რეიტინგი გაიზარდა.

— ყოველ შემთხვევაში, მარგველაშვილი ადასტურებს, რომ ერთწლიანი ზეწოლის გამო თანამდებობიდან გადადგომის ზღვარზე იყო.

— პრეზიდენტი თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს. სპონტანური, დამძიმებული ან მძიმე ემოციის ფონზე გაკეთებული განცხადებები და გადაწყვეტილებები არ ჩანს. ეს მაფიქრებინებს, რომ მოცემულობა, პოლიტიკური სურათი სწორად აქვს გაანალიზებული. მოცემულობა კი ის არის, რაშიც არის მთავრობა, პარლამენტი, საზოგადოება, ყველაზე დიდი დამსახურების, გავლენის მქონე ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი, „მოქალაქე“ და მეტი არაფერი. კი, ეს არის მოცემულობა, რომელშიც არსებობს ბიძინა ივანიშვილი და ვფიქრობ, ბატონი ბიძინას ამგვარი რეაქცია გამოიწვია სწორედ ღარიბაშვილის ბოლო განცხადებამ რეზიდენციასთან დაკავშირებით. მარგველაშვილმა ღიად თქვა, აქ არაფერი ინსტიტუციური არ არის, ეს არის ჩემი და ბიძინას პერსონალური ქიშპობაო. ვფიქრობ, ეს იყო სწორედ გამაღიზიანებელი ბიძინა ივანიშვილისთვის. ადამიანურად, შესაძლებელია, გასაგები იყოს ის ომი, რაც გამოიარეს ერთად მთელმა პოლიტიკურმა გუნდმა. ბიძინა ივანიშვილისთვის შესაძლოა, ეს იყოს ემოციური მომენტი, მაგრამ სახელმწიფოებრიობა და სამშობლო-საქართველო, მისი განვითარება უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტული პოლიტიკური თუ პერსონალური სენტიმენტი.

— ანუ თქვენ არ იცით, რის გამჟღავნებას აპირებს ბიძინა ივანიშვილი?

— ვერ გეტყვით. სიმართლე გითხრათ, საზოგადოებაც ამით ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ მიიღებს, რადგან თუნდაც პრეზიდენტთან დაკავშირებით კულუარები როგორ შეიძლება ხალხისთვის საინტერესო იყოს? ეს ხომ გავლილია უკვე? ფაქტია, რომ ივანიშვილმა ნეგატივი უნდა გამოიტანოს. ზოგადად, მისაღებია, რომ საკუთარი პოლიტიკური პარტიის ნეგატივი გამოიტანოს ვინმემ გარეთ? ეს ხომ იმდენად მარგველაშვილის დამაზიანებელი არ იქნება? ამიტომ მე რაიმე ისეთს არ ველი, რომ გადააყენონ მარგველაშვილი.

— მაგრამ მის გადადგომაზეა გათვლილი?

— მე არ ვიცი, რაზეა ეს გათვლილი. უბრალოდ, კოზირი შედეგს უნდა ისახავდეს და მე გავთვალე ყველა შესაძლო ვარიანტი. მარგველაშვილის დისკრედიტაცია რომც მოახდინონ, მიზანი უნდა იყოს ან მისი გადაყენება, ან გადადგომა. პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკაში სხვა არაფერი არ არის.

— ამ რამდენიმე ხნის წინათ ივანიშვილი ამბობდა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის გუნდში არის ხალხი, რომლებიც მას არ ეუბნებიან, სად არის თეთრი და სად არის შავი, ვერ უბედავენ ამის თქმას, ამით საკუთარ თავს უფრთხილდებიან და პატიოსნება გვერდზე აქვთ გადადებული. როგორც ჩანს, ივანიშვილი მარგველაშვილს არ განიხილავს, როგორც ცალკე მდგომ პერსონას და მის გუნდზეც, გარემოცვაზეც საუბრობს. სავარაუდოდ, ეს ალბათ, ვანო მაჭავარიანსაც შეეხებოდა, მაგრამ ვანო მაჭავარიანისა და პრეზიდენტის პოლიტიკური გზების გაყრის შემდეგ ვის უნდა უმიზნებდეს ივანიშვილი?

— ერთია, ვის ვუწოდებთ მარგველაშვილის გუნდს, მაგრამ ფაქტია, რომ მარგველაშვილს გუნდი არ ჰყავს. რაც შეეხება მის მრჩევლებს, ეს მრჩევლები სახელმწიფო მოხელეები არიან. გარდა ამისა, თვითონ მარგველაშვილი უსვამდა ხაზს ყველა გამოსვლაში, რომ ის არც ერთი პარტიის და არც ერთი ბიზნესჯგუფის ინტერესის გამომხატველი არ არის. გულწრფელად გეტყვით, თვითონ მარგველაშვილს არ აქვს სურვილი სამომავლოდ, როცა მისი უფლებამოსილების ვადა ამოიწურება, მოახდინოს გუნდის ფორმირება და გუნდთან ერთად გააგრძელოს პოლიტიკური საქმიანობა. დღეს ამის მზაობასაც ვერ ვხედავ. დღეს იგი პირნათლად ასრულებს იმ როლს, რაც მას კონსტიტუციამ განუსაზღვრა.

— თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილში ევროპული ყაიდის ლიდერს ხედავდა. შემდეგ მარგველაშვილმა მას იმედი გაუცრუა. ფიქრობთ, რომ ეს არის სწორედ ევროპული ყაიდის ლიდერობა, როცა გრიფის ახსნასთან დაკავშირებითაც იყო პრობლემები, ვეტოსთან მიმართებითაც, რომ არაფერი ვთქვათ, მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებასა და რეზიდენციასთან დაკავშირებულ გაუგებრობებზე?

— ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიდერობა კანონსმიღმა გადაწყვეტილებებს არ გულისხმობს. თუკი სახელმწიფო საიდუმლოებასა და კანონდარღვევაზეა საუბარი, აქ ლიდერობა არაფერ შუაშია. არც ევროპაში, არც ჩინეთში და არც სხვაგან კანონდამრღვევი ლიდერი არ არსებობს.

— მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ჩვენ უპრეცედენტო პრეზიდენტი გვყავს. მის სიტყვებს რომ დავესესხო, თქვენ თუ გახსენდებათ შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, რომ „გუნდთან ერთად მოსული პიროვნება მეორე დღესვე გუნდს დაუპირისპირდეს“?

— ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ისტორიაში ამ უფლებამოსილების პრეზიდენტი მართლაც უპრეცედენტოა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსნაირი მართვის მოდელი არსად არ არსებობს, ვერ ვიმსჯელებთ სხვა პრეზიდენტებზე. მაგრამ, თუკი მაინც ვიმსჯელებთ ე.წ. საპრეზიდენტო რესპუბლიკებზე ან შერეულ და სხვა ტიპის მმართველობის პირობებში მოსულ პრეზიდენტებზე, მიუხედავად იმისა, მათ პარტია უჭერდა თუ არა მხარს, დასავლური ყაიდის ყველა პრეზიდენტი კანონს და კონსტიტუციას ემორჩილებოდა და არა — პოლიტიკური სუბიექტების, პარტიების მოსაზრებებს.

— წინა კვირას მკვეთრი შეფასება გაკეთდა — გიორგი მარგველაშვილის „შურისძიება“ ახალი მთავრობის დამტკიცების გაჭიანურების გამო. თქვენ თუ ხედავთ შურისძიების ელემენტებს პრეზიდენტის ამ ქმედებაში?

— ეს არ არის სწორი. შურისძიებაზე თვითონ პრეზიდენტს არ უსაუბრია. მან თქვა, ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ დროში გადაიდოს ეს პროცესიო. გადაწყვეტილების მიმღები ამ პროცესში არ არის პრეზიდენტი. მან ისიც თქვა, ერთადერთი, მე შემიძლია, პარტიებსა და პოლიტიკურ პროცესს პარლამენტში მივცე საკმარისი დრო — ერთი კვირა.

— ანუ, ვანო მაჭავარიანი როცა აცხადებს, რომ პრეზიდენტის გაჭიანურებული გადაწყვეტილება თინა ხიდაშელის პრობლემური პერსონით აიხსნება, ეს თქვენთვის არადამაჯერებელია?

— უბრალოდ, თინა ხიდაშელი პრეზიდენტმა მაგალითად მოიყვანა, რამდენჯერ შეიძლება შეიცვალოს თავდაცვის მინისტრიო. სხვათა შორის, ნატოსთან დაახლოება ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია და აბა, ნახეთ, ნატოს სტანდარტებით, თავდაცვის მინისტრების არასტაბილურობა არის თუ არა საფრთხე სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისთვის ან ჯდება თუ არა ეს ნატოს სტანდარტებში?! თანაც, არ დაგავიწყდეთ, პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი. მარგველაშვილის ადგილას, მე პირდაპირ ვკითხავდი მთავრობას, ნატოში ხომ მივდივართ ისევ? მაშინ ასე ხშირ-ხშირად და არგუმენტების გარეშე რომ ცვლით თავდაცვის მინისტრებს, ჩვენ ეს წაგვადგება ნატოსთან დაახლოების გზაზე? თინა ხიდაშელთან მიმართებით პრეზიდენტის რეაგირების თეორიის ფაქტორს გამოვრიცხავ. მარგველაშვილმა პირდაპირ მიანიშნა, რომ ახალი მინისტრების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებები შესაძლოა, არ იყო დამოუკიდებლად მიღებული; შესაძლოა, ვინმემ მიიღო და მთავრობაში გაფორმდა; ან ვინმემ გავლენა მოახდინა მკვეთრ ცვლილებებზე და ამ ოპერატიულობის გამო, ამ საქმეში ვერ ჩაერთვნენ დეპუტატები. ამ პროცესს შეეტყო კიდეც, უმრავლესობის დეპუტატები მორიდებით, მაგრამ მაინც გამოხატავდნენ პოზიციას — კარგი იქნებოდა, ჩვენც გვცოდნოდა რაიმე და ჩვენც დაგვკითხოდნენ, ბოლოს და ბოლოს, დეპუტატები ვართო.

— მაშინ პირდაპირ გკითხავთ, თინა ხიდაშელს აქვს რთული ურთიერთობები პრეზიდენტთან? ხიდაშელი ამას უარყოფს, მაგრამ რეალობა სად არის?

— არ ვიცი, ეს პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. ეს ფაქტობრივი მდგომარეობა შეიძლება იცოდეს ვანო მაჭავარიანმაც, იმ პერიოდის გათვალისწინებით, როცა ის თანამდებობაზე იმყოფებოდა.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

საფრანგეთი ქართულ რეფორმებს გულშემატკივრობს

საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და სახელმწიფოს რეფორმისა და გამარტივების დარგში საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრ ტიერი მანდონს შორის პარიზში შეხვედრა გაიმართა. საუბარი ორ ქვეყანას შორის ელექტრონული მმართველობის დარგში მომავალ თანამშრომლობასა და 3-4 ივნისს თბილისში დაგეგმილ ღია მმართველობის პარტნიორობის ევროპულ კონფერენციას შეეხო. სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონი და დესპანი გოჩა ჯავახიშვილი.

„ტიერი მანდონი საქართველოს გულშემატკივრობს იმ რეფორმების გზაზე, რომელთაც მოაქვს პროგრესი, რადგან თავად უდგას სათავეში საფრანგეთში მიმდინარე არაერთ გაბედულ რეფორმას ელექტრონული მმართველობის გაძლიერებისა და ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფის მიზნით. ამ სფეროებში ორ ქვეყანას ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისგან სასწავლი. აუცილებელია გამოცდილების გაზიარებაც. ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გარდაქმნის ჩემი სამინისტრო სოფლის ძველ ბიბლიოთეკებს საზოგადოებრივ ცენტრებად ისე, რომ ბიბლიოთეკის რეკონსტრუქციაც ხდება და იუსტიციის სახლის სერვისების შეტანა სოფლად ერთი ფანჯრის პრინციპით, და როგორ მოქმედებს ბატონი მანდონი, როცა ფრანგულ სოფლებში არსებულ ფოსტის შენობებს აძლევს ახალ სიცოცხლეს სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით. პრიორიტეტი ქართულ და ფრანგულ სოფელში, ორივეგან ერთია — სახელმწიფო სერვისები უნდა იყოს ხალხთან ახლოს. შევთანხმდით, რომ მინისტრი ეწვევა საქართველოს ივნისში დაგეგმილ ევროპულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და ამ ღონისძიების ფარგლებში ჩვენს ქვეყნებს შორის ხელი მოეწერება თანამშრომლობის დოკუმენტს ელექტრონული მმართველობის გაძლიერების, ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფის და პირადი მონაცემების დაცვით სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესის შემუშავების მიზნით“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

ინტერპრესი

◎ გამოძიება

ვინ მოკლა ბესიკ ხარძიანი?

„ამ დროისთვის დასრულებულია მკვლელის იდენტიფიცირება“

თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოკლული ბიზნესმენის ბესიკ ხარძიანის სასამართლო პროცესი 13 მაისს გაიმართება. საქმე ეხება კუს ტბის წილებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავას, რომელსაც ბიზნესმენი აწარმოებდა. როგორც ცნობილია, ხარძიანმა პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული სამართლებრივი დავა მოიგო, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სამოქალაქო დავაში, ბესიკ ხარძიანის გარდა, კიდევ ორი კომპანია მონაწილეობს. კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარე გიორგი უდესიანის „კუს ტბა პალასი“ და მისი პარტნიორი, სააქციო საზოგადოება „უოლმილ სერვისი“, რომელიც ასევე მფლობელია „კუს ტბის“ საკონტროლო პაკეტის, ეს კომპანია კი პანამაშია რეგისტრირებული. მოკლული ბიზნესმენი, ბესიკ ხარძიანის ოჯახის ადვოკატი, მალხაზ სალაყაია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას არ ელოდება.

რა სიახლეებია ბიზნესმენის მკვლელობის საქმეში, გადაკვეთა თუ არა მკვლელმა საზღვარი და მოხდა თუ არა ბიზნესმენის მკვლელის იდენტიფიცირება? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge მალხაზ სალაყაიას ესაუბრა.

— რა საგამოძიებო მოქმედებებია ჩატარებული და თუ შეძლო გამოძიებამ ისეთი მტკიცებულების მოპოვება, რომელმაც შესაძლოა, გამოძიება დამკვეთამდე, ან თუნდაც იმ პიროვნებამდე მიიყვანოს, რომელმაც მოკლა ბიზნესემენი?

— მართლაც კოლოსალური მუშაობა აქვს გაწეული გამოძიებას. საქმის წარმატებულად დასრულების აუცილებელი წინაპირობაა, არ გახმაურდეს ის დეტალები, რაც გამოძიებას აქვს. საქმეზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიების ყველა ქმედება ემსახურება საქმის გამოძიებას.

— გამოძიებისთვის თუ არის ცნობილი იმ ადამიანის მარშრუტი, ვინც ისროლა? არაოფიციალური ინფორმაციით, მას კეკელიძის კუთხეში მანქანა ელოდებოდა...

— ჩემთვის უცნობია მონაცემები დამნაშავის კონკრეტული მარშრუტის შესახებ. ეს დეტალები დაზარალებული მხარისთვის სრულყოფილად ხელმისაწვდომი გახდება მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდება. ვფიქრობ, რომ ეს ეტაპიც მალე დადგება. რამდენ ხანში და რა ვადებში მოხდება, ამაზე ნამდვილად არ შემიძლია საუბარი, ყველაფერი დამოკიდებულია გამოძიების ტაქტიკაზე.

— რაც შეეხება უშუალოდ მკვლელს, ამ საქმეს ჰყავს თვითმხილველი, მათ შორის, მოკლული ბიზნესმენის ოჯახის წევრები. ბატონო მალხაზ, გამოძიებამ თუ შეძლო მკვლელის იდენტიფიცირება?

— გამოძიებას აქვს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მკვლელი არის ახალგაზრდა, დაახლოებით 40 წლამდე მამაკაცი. მინდა, გითხრათ, რომ საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებათა მიხედვით, რამდენიმე პირზე არ ყოფილა საუბარი. თვითმხილველები მიუთითებდნენ ერთ პირზე, ამ დროისთვის დასრულებულია მისი იდენტიფიცირება.

— შესაძლებელია, რომ მას დატოვებული ჰქონდეს საქართველო?

— აბსოლუტურად ყველაფერი მოწმდება როგორც შინ, ასევე გარეთ. ამ საქმეზე იმდენად სწრაფად დაიწყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომ დაზუსტებით ვერ გეტყვით მკვლელი საქართველოში იმყოფება, თუ დატოვა ქვეყანა. ჯერჯერობით, ოფიციალური ინფორმაცია არ აქვს არც გამოძიებას, დატოვა თუ არა მან ქვეყანა. არ გამოვრიცხავ, რომ ის ქვეყანაში იყოს. ადამიანურ ზღვარს სცილდება ის შესაძლებლობა, რასაც გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით აკეთებს.

— ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა, რომელიც უკავშირდება მის ბიზნესსაქმიანობას, თუ შურისძიება, გამოძიებამ მკვლელობის მოტივი თუ გამოკვეთა?

— გამოძიება ყველა ვერსიაზე მუშაობს. ოჯახს შეიძლება, ჰქონდეს ეჭვი და ვარაუდი რაღაც ფაქტთან დაკავშირებით და აი, ამის შესახებაც ფლობენ ინფორმაციას საქმის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან.

— ეკა ნონიკაშვილმა ღიად გააკეთა განცხადება და თქვა, რომ მისი მეუღლე მოკლა გია უდესიანმა. მიმდინარეობს თუ არა გამოძიება მკვლელობაში უდესიანის მონაწილეობაზე?

— ამაზე განმარტებას თვითონ მისცემს ქალბატონი ეკა. ყველა ვერსია, რომელიც გამოითქმის როგორც ხმამაღლა, ასევე კულუარულად, ყველაფერი მოწმდება. რას ეფუძნებოდა ეს განცხადება, ამას გამოძიება გასცემს პასუხს.

— რაც შეეხება ბესიკ ხარძიანის პირველი ოჯახის ბრალდებას, შვილი მკვლელობის შემკვეთად ასახელებს ბიზნესმენის მეორე მეუღლეს, მათ მისცეს ჩვენება გამოძიებას, თუ დაიკითხა ეკა ნონიკაშვილი?

— აღნიშნული განცხადების ავტორს უნდა ვკითხოთ, რას ეფუძნებოდა ეს ბრალდება. მე არ ვიცნობ გამცხადებელს და ამდენად, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ და ვერც საფუძველზე მიგითითებთ. ვინაიდან, აბსურდულად მიმაჩნია და, რა თქმა უნდა, იმავე აზრზეა ის ადამიანი, ვის მიმართაც გამოითქვა ეს ბრალდება. სამართლებრივი პროცედურა მიმდინარეობს და, შესაბამისად, სამართლებრივი პასუხი უნდა გაეცეს ყველა ბრალდებას, ვინაიდან ეს ბესიკ ხარძიანის გარდაცვალებას ეხება. ვინ როგორ ემოციურ ფონზე რა თქვა და რას ეფუძნებოდა, ამაზე ყველამ პასუხი უნდა გასცეს გამოძიებას.

— რა ვადებში ელოდებით საქმის გახნას?

— საგამოძიებო უწყებისთვის ეს არის მუნდირის ღირსების საქმე. ვფიქრობ, რომ ეს საქმე ძალიან მალე გაიხსნება.

თამთა ძარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

ლარის გაუფასურების საკითხი შეიძლება, სპეციალურმა კომისიამ გამოიკვლიოს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური ლარის გაუფასურების საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნას არ გამორიცხავს.

როგორც მეჭიაური აცხადებს, ასეთი კომისიის შექმნა პარლამენტის დღის წესრიგში შესაძლოა, იმ განხილვების შემდეგ დადგეს, რაც შესაბამისი უწყებების, მათ შორის, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს მოუსმენენ.

„ბოლო თვეების განმავლობაში ეროვნული ვალუტის კურსი არაბუნებრივად იზრდება. სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით, სულ მცირე, კურსი არ უნდა გაზრდილიყო. რაღაც დონეზე უნდა შემცირებულიყო კიდეც. შეკითხვები დაისმება, თუ ამომწურავ პასუხებს და განმარტებებს მივიღებთ და დადასტურდება, რომ, რაც ხდება, საგარეო ფაქტორებით არის გამოწვეული, რა თქმა უნდა, კომისიის შექმნის აუცილებლობა არ დადგება. არის თემები, რაზეც ჩვენ წვდომა არ გაგვაჩნია, რომელიც კომერციული საიდუმლოების სფეროს მიეკუთვნება. თუკი დავინახავთ, რომ აქ შეიძლება იყოს ძაღლის თავი დამარხული, შეიძლება, საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი დადგეს“, — აცხადებს თამაზ მეჭიაური.

ინტერპრესი

◎ კონკურენცია

ზვიგენები ლიფსიტებს დაერივნენ...

„დიდმა სუპერმარკეტებმა ჩაგვძირეს, წაგებაზე ვმუშაობთ“

ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით დიდი დარტყმა წვრილ მაღაზიებს მიაყენა. უმეტესობას მაღაზიისთვის კომერციული ფართი დოლარში აქვს დაქირავებული. შესაბამისად, მაღაზიის მფლობელებს დოლარის კურსის აწევით გადასახადი მკვეთრად გაეზარდათ. თუმცა, პრობლემა მარტო ამით არ ამოწურულა. დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მომრავლებულ ჰიპერმარკეტებს უბნის მაღაზიები კონკურენციას ვეღარ უწევენ. ამიტომ მათი უმრავლესობა იძულებულია, მაღაზიის სექციები შეამციროს ან საერთოდაც დახუროს. როგორც ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს, ბაზარი თვითონ მოაწესრიგებს მიწოდება-მოთხოვნას და იმას — თუ ვინ დარჩება და გავა ბაზრიდან. თუმცა, უბნის მაღაზიები ასე არ ფიქრობენ და ჰიპერმარკეტების მხრიდან რითეილის ბაზრის სრულ მონოპოლიაზე ჩივიან. **„ცხადია, მომხმარებლისთვის გაცილებით კომფორტულია ერთ სივრცეში, სასურველი პროდუქციის ხელსაყრელ ფასად შეძენა, თუმცა, ეს წვრილი მაღაზიების ხარჯზე არ უნდა მოხდეს“,** — მიიჩნევენ მაღაზიის მეპატრონეები, რომლებიც დიდ საავაჭრო ობიექტებს კონკურენციას ვეღარ უწევენ.

bpn.ge დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში ჰიპერმარკეტების მახლობლად გახსნილი მაღაზიის მეპატრონეებს ესაუბრა. თითქმის ყველა უბანში მსგავსი ვითარებაა — მაღაზიის მეპატრონეები გაზრდილ ხარჯსა და გაყიდვების სიმცირეზე ჩივიან. მათთვის, ვინც უბნის მაღაზიის ხშირი მომხმარებელია, არ გამოეპარება ასეთი მაღაზიების სავაჭრო სივრცის შემცირება. 10 წელზე მეტია, რაც 50 წლის მარინე კოლმეურნეობის მოედანთან მდებარე სურსათის მაღაზიაში მუშაობს. თავის დროზე ვაჭრობა კარგად მიდიოდა, ფართის ქირასაც დროულად იხდიდა. თუმცა, ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც მისი მაღაზიის მოპირდაპირედ ერთ-ერთი დიდი ჰიპერმარკეტის გახსნაც დაერთო, სერიოზული მატერიალური პრობლემა შეუქმნა და იძულებული გახდა, ფართი შეემცირებინა, რადგან მაღაზიიდან შემოსული მოგებით ქირას ვეღარ ფარავდა. ნელ-ნელა კი ზოგიერთი პროდუქცია სარეალიზაციო ქსელიდან ამოიღო.

„ძალიან კარგი ვაჭრობა მქონდა. მაგრამ რაც დოლარის კურსმა აიწია, გადასახადი გამიძვირდა. თვეში 500 დოლარს ფართის ქირას ვიხდი. რამდენიმე თვის წინათ დაახლოებით 900 ლარამდე გამომდიოდა გადასახადის გადახდა, ლარის გაუფასურების გამო კი ქირა 1200 ლარამდე გამეზარდა. ამას დაერთო ისიც, რომ ჩემი მაღაზიის წინ ჰიპერმარკეტი გახსნეს და ამან ძალიან გამიუარესა მდგომარეობა. გაუარესებული ვაჭრობის გამო, უარი ვთქვი ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვაზე, ბოლო რამდენიმე ხანია, სიგარეტსაც ვეღარ ვყიდი, რადგან დისტრიბუცია სიგარეტს ნისიად არ მაძლევს. თავდაპირველად ფართი შევამცირე, ახლა ქირას თვეში 400 ლარს ვიხდი. თუმცა, ამის გადახდაც მიჭირს, რადგან ვაჭრობა არ მაქვს, კლიენტი აღარ შემოდის, ყველა ჰიპერმარკეტში დადის. მე რა კონკურენცია უნდა გავუწიო ასეთ მონოპოლისტს? ერთი და იგივე სახის პროდუქციის მარაგი სულ მცირე ნახევარ წელი მაინც აქვთ. კონკურენციას როგორ გავუწევ?“, — ამბობს მაღაზიის მეპატრონე. მისივე თქმით, ვითარება თუ არ გამოსწორდება, იძულებული გახდება მაღაზია დახუროს.

„ბანკიდან კრედიტი მაქვს გამოტანილი. კიდევ სამი თვე მიწევს სესხის გადახდა და მანამდე მაღაზიას ვერ დავხურავ. შემდეგ კი მომიწევს. ამ ჰიპერმარკეტმა არა მარტო მიმდებარე მაღაზიებს დაგვარტყა, არამედ ახლო უბნებში მდებარე მაღაზიებსაც შეეხო. ასე თუ გაგრძელდა და სიტუაცია არ დასტაბილურდა, ალბათ, კიდევ ბევრი მაღაზია დაიხურება“, — გვითხრა ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონემ.

კრიზისის ფონზე მაღაზიის ფართი მნიშვნელოვნად შეამცირა თბილისის მერიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სასურსათო მაღაზიის მეპატრონემ. უბნის მაღაზიების შემცირება-დახურვამ ტენდენციის სახე მიიღო და ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიური ვითარების გათვალისწინებით, ეს პროცესი, როგორც ჩანს, კვლავაც გაგრძელდება. **უბნის მაღაზიების მეპატრონეები ამბობენ, რომ მათი ბიზნესის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ე.წ. ნისიაა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, პროდუქციის საფასური მოგვიანებით გადაიხადოს.**

სალომე გოგოხია

„როგორც ჩანს, ღარიბაშვილს მხოლოდ იმის უფლებას დაუტოვებენ, საკუთარი მძღოლი თვითონვე შეარჩიოს“



რით აიხსნება რესპუბლიკელების ზეობა ახალი მთავრობის შემადგენლობაში და როგორ მოიპოვა ამ პარტიამ ივანიშვილის მზის ქვეშ საკმაოდ თბილი ადგილი? რამდენად პრინციპული აღმოჩნდება თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის ახალ ამპლუაში და გადაფარავს თუ არა ჯანელიძე-ზუმბაძის ტანდემის შესახებ გავრცელებულ პრორუსულ შეხედულებებს? ამის შესახებ For.ge-ს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა.

— სამი ახალი მინისტრიდან ორი რესპუბლიკელია — თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის ეს „რესპუბლიკური პარადი“ ივანიშვილის კარზე?

— პარადს ვერ ვიტყოდი. რომელ პარტიაზე შეიძლება ახლა ფსონის დადება? - „კონსერვატორებზე?“ „სოციალ-დემოკრატებზე“ თუ ვისზე? მას შემდეგ, რაც ალასანიას პარტია აღარ არის „ქართულ ოცნებაში“, აქ უკვე ერთადერთი პარტია დარჩა, მეტ-ნაკლებად სოლიდარობას რომ ინარჩუნებს. ეს „რესპუბლიკური პარტიაა“. ეს კარგი ცხოვრებისგან არ არის, უბრალოდ, ალტერნატივა არ არსებობს. ეს არის ყველაზე ტრაგიკული „ოცნებისთვის“, რომ დღეს კოალიციაში, პრაქტიკულად, ერთი პარტია დარჩა, რომელსაც, ასე თუ ისე, რაღაც ავტორიტეტი აქვს ხელისუფლებაში და ეს არის „რესპუბლიკური პარტია“.

აქამდე რესპუბლიკელები და პრეზიდენტი თითქოს ერთად „ძოვდნენ“, რადგან პრეზიდენტის თანაშემწე ქალბატონი ირინე იმერლიშვილი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია. როგორც ჩანს, აქაც გაირბინა შავმა კატამ და პრეზიდენტსა და რესპუბლიკელებს შორის ისეთი ურთიერთობა აღარ არის. საერთოდ, ფაქტები, ოფიციალური დოკუმენტაცია ამაზე არ გვაქვს, მაგრამ ვარაუდით, ადვილად შეიძლება, რესპუბლიკელთა პარადი, აღლუმი, თუ გნებავთ, ზეიმი დავუკავშიროთ ამერიკის ელჩის უცნაურ ვიზიტს შუშის სასახლეში, ივანიშვილთან. ეს ამერიკელების ქრესტომათიული ხელწერაა, რომ მუდამ ჰყავდეთ სათადარიგო ძალა, სცენარი, გეგმა — „ბე“. როგორც ამბობენ, შევარდნაძის დროს ასეთი სათადარიგო ძალა იყო სააკაშვილი და ნაცმოძრაობა, „ოცნების“ დროს — ალასანია თავისი პარტიით. როგორც ჩანს, ალასანია თავისი პარტიით ამერიკაში უკვე აღარ განიხილება ისეთ პერსპექტიულ ძალად, როგორც ადრე იყო და ახლა ფსონი კეთდება რესპუბლიკელებზე, მაგრამ ამას შეცდომად თუ ჩავთვლიდი, რადგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად, „რესპუბლიკური პარტია“ არ არის ძლიერი ელექტორალური აზრის მქონე. პარტიაზე, რომლის რეიტინგიც კატასტროფულად დაბალია, ფსონის დადება არ შეიძლება, მაგრამ ამერიკელებს არჩევანი არა აქვთ. ვინ დარჩა ახლა პარლამენტში პარტიის სახით? ორ-ორ, სამ-სამ კაციანი პარტიები. ესაა ძიძიგურის პარტია, ჟორჟოლიანის პარტია, მეტს ვერც ვიხსენებ.

— ერთ-ერთი ქართველი ექსპერტი აცხადებს, რომ მომავალი სამთავრობო გუნდისთვის ახალი კადრების მთავარი წყარო „საზოგადოება 20/30“-ში ეგულება.

— რომელი ექსპერტი აცხადებს ამას?

— სოსო ცისკარიშვილი.

— სოსო ცისკარიშვილი ეკონომისტია განათლებით. არავითარი „20/30“. ივანიშვილს შეუძლია, კიდევ რაღაც გამოძებნოს, მაგრამ სანამ „20/30“ აკრეფს რესურსს, რაც სჭირდება პოლიტიკურ ძალას, ეს არის გამოცდილება, ინტელექტი... პატარა ბავშვების მთავრობა ჩვენ უკვე ვნახეთ სააკაშვილის დროს, როცა ეკონომიკის მინისტრი 23 წლის ბიჭი იყო და საჯაროდ აცხადებდა, 40 წლის ხეც არ მინდა ეზოში, მინისტრი რაში მჭირდებაო. ახალგაზრდობა ინდულგენცია არ არის. მარტო ახალგაზრდობა, თუ მას გამოცდილება, ცოდნა, ინტელექტი არა აქვს, დამღუპველია.

— „რა სიხშირით უნდა ვცვალოთ თავდაცვის მინისტრები“ და თინა ხიდაშელი ამ ამპლუაში როგორ წარმოგიდგენიათ?

— ჩვენ თავდაცვის მინისტრებს ვცვლით ყოველი „გამარჯვებული“ ომის შემდეგ. ეს ცნობილი ფაქტია. იმ სიხშირით უნდა ვცვალოთ, რა სიხშირითაც მმართველ პირს მოეწონება, ან არ მოეწონება ვინმე. ელემენტარულად, ახლა რაც ხდება, ეს კიდევ ერთხელ სერიოზული დარტყმაა ღარიბაშვილის კადრებზე. თავდაცვის მინისტრი ღარიბაშვილის კაცი იყო. როგორც ჩანს, ღარიბაშვილს დაუტოვებენ იმის უფლებას, საკუთარი მძღოლი შეარჩიოს თვითონ. გუშინწინ არ ამბობდა ღარიბაშვილი? — არავინ არ შეიცვლება მოქმედი მინისტრებიდანო და 24 საათი გავიდა და იცვლება საკვანძო თავდაცვის მინისტრი. ეს ნიშნავს, რომ არათუ აღარაფერია დამოკიდებული ღარიბაშვილზე, არამედ უარესი ხდება, ღარიბაშვილი საქმის კურსშიც კი არ არის, ვის დაუნიშნავენ მინისტრად. შეიძლება, ღარიბაშვილმა იცის, რომ ვიღაცას ნიშნავენ და ის არ მოსწონს, მაგრამ მას არ აქცევენ ყურადღებას, თუმცა ორჯერ ცუდია, როდესაც მან არცკი იცის, რომ ვიღაცას ცვლიან.

— ივანიშვილმა, როცა არჩევანი თინა ხიდაშელზე შეაჩერა, ალბათ, მისი პროდასავლური იმიჯი გაითვალისწინა, ანუ ეს არჩევანი გადაფარავდა ჯანელიძე-ზუმბაძის პრორუსულ იერს?

— ეს ამერიკის ელჩის ვიზიტის შედეგად მიმაჩნია. ცალსახად, ეს უფრო პროამერიკული სტილია, ვიდრე პროევროპული. როგორც ჩანს, ევროპას არც აქვს იმის პრეტენზია, თავისი ხალხი ჰყავდეს აქ, ეს უფრო ამერიკას აწყობს. ამიტომაა, რომ ამერიკის ელჩი მონოპოლისტი გახდა თავის საჯარო განცხადებებში, როგორც კი რაღაც მოხდება საქართველოში (ეს იქნება სასამართლო პროცესები თუ სხვა რამ) აუცილებლად კომენტარს აკეთებს ამერიკის ელჩი და არასდროს — საფრანგეთის ან დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ელჩი. ხალხმა არც კი იცის, ვინ არის გერმანიის ელჩი, ერთხელაც არ უნახავს ეკრანზე. ამერიკის ელჩს კი ხელად ცნობენ, ის ცნობადი სახეა და ცნობადი სახე საქართველოში ყოველთვის არის ერთი ქვეყნის — ამერიკის ელჩი.

— „კაბელების საქმის“ გამოძიებისას, რომელსაც ბოლო ხანს ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, რამდენად გამოადგებათ ჯანელიძესთან შედარებით მეტ-ნაკლებად უმართავი თინა ხიდაშელის კანდიდატურა?

— რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, დღეს თავდაცვის მინისტრი ფანტომასია, ის არ ჩანს. თავდაცვის მინისტრის შესახებ ინფორმაცია რით უნდა გავიგოთ? ომი მოვიგეთ, ნატოში შევედით თუ სხვა? უბრალოდ, ალასანია სალაპარაკო თემად იქცა, როდესაც მას ხალხი დაუჭირეს, თორემ საზოგადოებამ ხომ არ იცის, როგორი არმია გვყავს ჩვენ? თავდაცვის მინისტრის და არმიის ქმედუნარიანობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხდება ცნობილი საზოგადოებისთვის — ომის შემთხვევაში. ღმერთმა დაგვიფაროს, 2008 წელს ჩვენ ვნახეთ, როგორი გენერალიტეტი, არმია გვყავდა, ამიტომ მინისტრის როლი ნულამდეა დაყვანილი. ნორმალურ საზოგადოებაში გენერალური შტაბია მთავარი, მაგრამ ჩვენთან გენერალური შტაბი მიჩქმალულია, მინისტრი ჩანს მხოლოდ.

— რესპუბლიკელებს ფასი მას შემდეგ ხომ არ დაედოთ, რაც ბიძინა ივანიშვილმა გაიაზრა მთელი ის დილემა, რაც რესპუბლიკელების განრიდებას შეიძლება მოჰყოლოდა? კერძოდ, სააკაშვილის ზეობისას ხიდაშელ-უსუფაშვილის წყვილი სააკაშვილს გადაუდგა, რადგან მათ ვერ მიიღეს გენპროკურორის და სახალხო დამცველის პოსტები. ამის განმეორების ხიფათი ხომ არ არსებობდა? მართალია, რესპუბლიკელები ცალკე, კოალიციის გარეშე ძლიერ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ მაინც შეიძლება ეს ვერსიაც დავუშვათ?

— რაღაც ასეთი იყო. ჩვენ რომ რეტროსპექტივაში განვიხილოთ თინა ხიდაშელის საჯარო განცხადებები, ნახავთ, რომ თუნდაც ორი თვის წინათ თინა ხიდაშელი თავს არ იკავებდა ხორკლიანი, მჩხვლეტავი განცხადებებისგან „ოცნებისა“ და მთავრობის მიმართ. იგი ხშირად იყო მოულოდნელად კრიტიკული, მაგრამ უკანასკნელი ათი დღეა, ორი კვირაა, ძალიან დაუტკბა მთავრობას. სახეზე რომ არ ვიცნობდე, ხიდაშელი ლაპარაკობს თუ რომელიმე თავგადაკლული „ოცნებისტი“ პარლამენტში, უკვე ვეღარც გაარკვევ სინამდვილეს. ხიდაშელი იქაც კი ცდილობს, თეთრი შავად გამოაჩინოს, სადაც თეთრი ნამდვილად თეთრად ჩანს. ეტყობა, რაღაც მოხდა. თუ გნებავთ, ის ფაქტი, როცა უსუფაშვილმა ნეპოტიზმი ახსენა და ამ დროს საკუთარი ცოლი დანიშნა კომიტეტის თავმჯდომარედ. გარდა ამისა, საჭირო იყო ხიდაშელის ამბიციის დაკმაყოფილება. დიდი ხანია, მთელი ორი წელია, ხიდაშელი რიგითი წევრი იყო პარლამენტში, ჯერ რაღაც არაფორმალურ კომისიას ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ხომ გახსოვთ, მაგ კომისიამ იმასაც ვერ მიაღწია, შაშკინი მიეყვანა პარლამენტში და შაშკინმა თქვა, ერთი პარლამენტარის დაძახებით მე არ მივალო, ე.ი. ხიდაშელი არაფრად ჩააგდო. ეს თავმოყვარე ქალისთვის დიდი შეურაცხყოფაა, მაგრამ უკვე დაკმაყოფილდა ხიდაშელის ამბიცია.

ალასანიამ ძალიან იჩქარა, მისი შეცდომა ის იყო, მოვიდა თუ არა, ათასობით თავისი მომხრეთი გაავსო სამინისტრო. ეს უკვე აღარ მოეწონა იმ ერთ ადამიანს, იფიქრა, პატარა საფეოდალო გახდა თავდაცვის სამინისტროო? ამიტომ შეუტიეს ალასანიას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნებამდე ხიდაშელი ვერ მოასწრებს „რესპუბლიკური პარტიის“ კადრებით ჩაანაცვლოს თავდაცვის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა.

— გამოდის, რესპუბლიკელები ყველაზე უკეთ ვაჭრობენ ბიძინა ივანიშვილთან? გარდა ამისა, მათ ყველაზე ადრე იცოდნენ სამთავრობო ცვლილებების თაობაზე.

— ელემენტარულად, რესპუბლიკელებს აქვთ ისეთი კოზირი ხელში, როგორიცაა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი. ეს უსუფაშვილის ღირსება კი არაა, არამედ ეს მისი თანამდებობის ღირსებაა, რომ შეუზღუდავი ინფორმაცია მიდის პარლამენტის თავმჯდომარესთან. ამიტომ ვერ ვიტყვი, წარმატებით ვაჭრობენ რესპუბლიკელები თუ წარუმატებლად. პირიქით, ეს ამბავი „რესპულიკური პარტიის“ დაბალ რეიტინგს კიდევ უფრო დაბლა დასწევს.

— რით ახსნით გიორგი მარგველაშვილის ე.წ. შურისძიებას და დაბრკოლებას მინისტრების დამტკიცების გზაზე? რატომ დააყენა მარგველაშვილმა, ივანიშვილის მსგავსად, ღარიბაშვილი დილემის წინაშე?

— მარგველაშვილი ინტელექტუალია. ჩემი აზრით, ის სუსტი მენეჯერია, სუსტი პრეზიდენტია, მაგრამ ინტელექტუალია. მასაც აქვს ინფორმაციის საკუთარი წყაროები, ხვდება იმას, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკა შედის მძიმე ტურბულენტურ ფაზაში. ამიტომ სულ უფრო და უფრო გაბედული ხდება. ახლა მან თავისი ვეტოთი და ერთკვირიანი დროის გადაწევით ყველაფერი სასწორზე დადო, ვაბანკზე წავიდა. თუ მარგველაშვილი დადგა ბარიკადებზე და თქვა, ან სიკვდილი, ან გამარჯვებაო და გაიტანა თავისი, ანუ შეაცვლევინა კადრები, ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის პირადი რეიტინგი კიდევ უფრო ამაღლდება, მაგრამ, თუ ერთი კვირა პინგ-პონგის თამაში იქნა და მაინც ეს კადრები დამტკიცდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილის ბრძოლა მოჩვენებითია.

— სხვათა შორის, ვანო მაჭავარიანი პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას თინა ხიდაშელის პრობლემურ კანდიდატურას უკავშირებს და იხსენებს თინა ხიდაშელის რთულ ურთიერთობებს როგორც პრეზიდენტთან, ისე პრემიერთან. მისი აზრით, მნიშვნელოვანი თანამშრომლობა არ შედგება ხიდაშელის გამო.

— სადაც ხიდაშელია, იქ ყოველთვის დაპისპირება და კონფლიქტია, რადგან ამ ქალბატონთან ამბიციები და კიდევ ერთხელ ამბიციებია. ლომის წვლილი ხიდაშელსაც მიუძღვის, რომ დღეს „რესპუბლიკური პარტია“ და ბურჯანაძე ასე დაპირისპირებულნი არიან. თუმცა, ბურჯანაძე დღეს თავშეკავებულად იქცევა, რესპუბლიკელებისგან განსხვავებით. აქ გენდერული პრობლემაცაა. ქართული პოლიტიკა ვერ იტანს ორ ლიდერ ქალს. პირველად ეს გამოჩნდა ზურაბაშვილის დროს, როცა მან ვერ აიტანა ბურჯანაძე და პირველი კონფლიქტი ზურაბაშვილს სწორედ ბურჯანაძესთან ჰქონდა. ბურჯანაძეს დღეს ქალებში ალტერნატივა არ გაჩნია. ხიდაშელმა რა თანამდებობაც არ უნდა მიიღოს, ის ბურჯანაძის დონემდე ვერ ავა. ბიოგრაფია სხვა არის. ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, პარლამენტის თავმჯდომარე ამდენი ხნით, პარტიის ხელძღვანელი, განათლებული, გამოცდილი ადამიანი, ხიდაშელი შორს დგას მისგან თავისი მონაცემებით და ეს პირადულ გაღიზიანებაში გადადის. ამიტომ არ ვიტყოდი, რომ ხიდაშელის კანდიდატურა გენიალური მიგნებაა, ის მართლაც პრობლემური იქნება, თანაც, ხიდაშელი ვერ მოითმენს, ის აქტიური ადამიანია, მას უნდა, სულ ეკრანზე იყოს, გადაწყვეტილებები მიიღოს.

ვინ ჩანს ეკრანზე, მხოლოდ ბესელია, ხიდაშელი და ვოლსკი, მაგრამ თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები ისეთი თანამდებობებია, იქ სიჩუმეა საჭირო, მათ არ უყვართ ტელეკამერებთან კეკლუცობა, ხიდაშელი კი უამისოდ ხიდაშელი ვერ იქნება, რას იზამს ხიდაშელი? ახლა ნატოში შეიყვანს საქართველოს? ხიდაშელის ადგილას, არც ერთ ჩემს ახლობელს არ ვურჩევდი, დათანხმებულიყო მინისტრობას, მაშინ, როცა უკვე ნატომ ღიად გვითხრა უარი, დამივიწყეთო, ამ დროს შენ ხდები მინისტრი და კიდევ უნდა იძახო, ჩვენ ნატოში შევდივართ და ნატოსთან ახლოს ვართო. ეს ძალიან უმადური თანამდებობაა.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ეროვნული გვარდიის დელეგაცია უკრაინას სტუმრობს

საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი, ბრიგადის გენერალი ლევან გამყრელიძე და მისი მოადგილე, პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე უკრაინის ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობამ მიიწვია. ვიზიტი საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის უწყებებს შორის 2015 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში განხორციელდა.

თავდაცვის უწყების ცნობით, საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი უკრაინელმა კოლეგამ გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლაი ბალანმა მიიღო. შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს არსებული გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს. ბრიგადის გენერალი ლევან გამყრელიძე უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსსაც შეხვდა.

საქართველოს ეროვნული გვარდიის დელეგაცია ვიზიტის ფარგლებში უკრაინის ეროვნული გვარდიის სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფებს ესტუმრება და არსებულ ინფრასტრუქტურას დათვალიერებს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო-რუსეთის ფრონტზე ცვლილებები არ იქნება

საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ 5 მაისს დააანონსა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან დიალოგის „პრაღის ფორმატის“ მომავალი ცვლილების შესახებ. თბილისში მისი განცხადება აღიქვეს, როგორც მითითება შესაძლო გადადგომაზე: ოპოზიცია არაერთგზის საყვედურობდა ბატონ აბაშიძეს წარუმატებლობასა და ზიანშიც კი მოსკოვთან მოლაპარაკებაში. სხვათა შორის, თავად ბატონმა აბაშიძემ ჩვენთან საუბარში ეს ხმები უარყო, თანამოსაუბრეებმა კი საქართველოს მთავრობაში დაგვარწმუნეს, რომ დიპლომატის მოღვაწეობას ძველებურად წარმატებულად მიიჩნევენ. მოსკოვშიც ეჭვი არ ეპარებათ „პრაღის ფორმატის“ ეფექტიანობაში.

საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ უარყო ხმები თავისი გადადგომის შესახებ

„მაისში ან ივნისში მოხდება ცვლილებები „პრაღის ფორმატში“ და მადლობელი ვიქნებოდით ჩვენი პარტნიორებისა და ოპონენტებისაც კი, თუ ისინი კარგ რჩევებს მოგვცემენ“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში. კერძოდ, როგორი იქნება ეს ცვლილებები, მას არ აუხსნია. **„არის გარკვეული პრობლემები, მაგრამ კომუნიკაციის ეს არხი ორ ქვეყანას შორის ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ, — ხაზგასმით აღნიშნა დიპლომატმა და იქვე მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: ხოლო, თუ ვინ წარმოადგენს ამ ფორმატში მხარეებს, აბაშიძე თუ კარასინი, ამას მნიშვნელობა არა აქვს“.**

უკანასკნელი ფრაზა თბილისში აღიქვეს, როგორც მითითება შესაძლო გადადგომაზე. ზურაბ აბაშიძეს ხშირად აკრიტიკებდნენ **„უნაყოფო და კაპიტულანტური დიალოგის გამო ქვეყანასთან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა“,** — ასე დაახასიათა ადრე სიტუაცია მიხეილ სააკაშვილის პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა. მისმა კოლეგამ, დეპუტატმა სერგო რატიანმა ჩვენთან საუბარში დაასაბუთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნეგატიური დამოკიდებულება „პრაღის ფორმატთან“ იმით, რომ ასეთი შეხვედრების წყალობით მოსკოვი, თითქოსდა, „ცდილობს ჩაითრიოს საქართველო სრულიად უნაყოფო და მავნე ორმხრივ მოლაპარაკებაში და ჩაშალოს „ჟენევის ფორმატი“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მონაწილეობით.

ზურაბ აბაშიძეს პერიოდულად აკრიტიკებენ არა მხოლოდ ოპოზიციონერები, არამედ ხელისუფლების პარტიის წარმომადგენლები და მთავრობის მეთაურიც კი. ამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტში მოხსენებით გამოსვლის დროს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მოითხოვა: **„დავაზუსტოთ კანონმდებლური ძალით აბაშიძე-კარასინის ფორმატი და ზუსტად განვსაზღვროთ ქართული მხარის მხრიდან მონაწილის უფლება-მოსილებანი“.** საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა კი მიუთითა **„პარალელიზმსა და შეუთანხმებლობაზე „პრაღის ფორმატის“ ფუნქციონირებაში“. „პრაღის ფორმატი“ — აბსოლუტური ნულია“,** — არ ფარავდა მკაცრ შეფასებებს ჩვენთან საუბარში საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ყოფილი რექტორი იოსებ ცინცაძე.

ასე თუ ისე, ზურაბ აბაშიძემ ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყო ხმები თავისი გადადგომის შესახებ.

მომავალი გადადგომის ვერსიის სასარგებლოდ არ მეტყველებს ის, რომ ზურაბ აბაშიძე ინარჩუნებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილისა და მთავრობის წევრების უმრავლესობის მხარდაჭერას. **„ფორმატი აბაშიძე-კარასინი მიგვაჩნია უკიდურესად წარმატებულად, ნაყოფიერად და სასარგებლოდ“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა. მან გაოცება გამოთქვა თბილისში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით აბაშიძის შესაძლო გადადგომის შესახებ, გვაცნობა, რომ მისი საქმიანობა **„ყოველთვის ღებულობდა ყველაზე მაღალ შეფასებას მთავრობის სხდომებზე განხილვის დროს“.** წყარომ სახელმწიფო კანცელარიაში, რომელიც იცნობს სიტუაციას, დაგვარწმუნა: პრემიერი „უკიდურესადაა კმაყოფილი ზურაბ აბაშიძის პროფესიონალიზმით და თავგამოდებულობით, რომელმაც შედეგებს მიაღწია ურთულეს პირობებში.

ზურაბ აბაშიძის „პრაღის ფორმატის“ პოზიტიურ შედეგებს შორის ასახელებენ რუსეთის ბაზრის გახსნას ქართული საქონლისთვის, რეგულარული ავიამიმოსვლის განახლებას და რუსეთის ციხიდან რამდენიმე ქართველი მოქალაქის გათავისუფლებას, რომლებიც გაასამართლეს 2008-2009 წლებში ჯაშუშობისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს დიპლომატიურ წრეებში დიალოგი კარასინ-აბაშიძის ხაზით მართლაც აწყდება სერიოზულ სირთულეებს, ვინაიდან მოსკოვი გამოხატავს მზარდ უკმაყოფილებას საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნის გეგმებთან დაკავშირებით. ამას გარდა, 2012 წლის ნოემბრიდან, როდესაც გაიმართა ზურაბ აბაშიძისა და გრიგოლ კარასინის პირველი კონტაქტი, მხარეები ერთი ნაბიჯითაც არ წასულან წინ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ორმხრივი შეხვედრების ორგანიზაცია უმაღლეს ანდა მაღალ დონეზე, აგრეთვე რუსეთიდან ამიერკავკასიაში აფხაზეთისა და საქართველოს გავლით სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შესახებ.

ასე თუ ისე, მოსკოვს არ აქვს განზრახული უარი განაცხადოს „პრაღის შეხვედრებზე“. როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი ადრე აცხადებდა, ამჟამინდელი მიდგომა საშუალებას იძლევა „გულღიად და საგნობრივად განვიხილოთ არსებული პრობლემები და გავიდეთ შეთანხმებებზე“.

Коммерсантъ

საქართველოს კონსტიტუცია - კანონია თუ ხელნაჯ?

არასაპარლამენტო ოპოზიციამ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მოწოდებით — მოახდინოს ზეგავლენა მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბების მსვლელობაზე. ოპოზიციონერების აზრით, ახალი მინისტრები დანიშნა არა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, არამედ მისმა წინამორბედმა, „ქართული ოცნების“ დამაარსებელმა ბიძინა ივანიშვილმა, რაც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

„ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიასა და კიდევ არასაპარლამენტო ოპოზიციის ორი წარმომადგენლისათვის მინისტრების ამასწინანდელი დანიშვნები საქართველოს მთავრობაში — ეს არის „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მართვის დადასტურება. არგუმენტი კი ჯონდი ბაღათურიასთვის შემდეგია: **მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ 31 მარტს დაასახელებს ორი ახალი მინისტრის სახელებს — გარემო ბუნების დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდული საკითხებისა, და მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას გაუგზავნის დასამტკიცებლად პრეზიდენტს პარლამენტისგან ნდობის ვოტუმის შემდგომი მიღებისათვის.**

გადადგომათა რიგისა და განუჭვრეტელი დანიშვნების გამო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პირველ მაისს ისარგებლა კონსტიტუციური უფლებით და 7 დღით გადადო პარლამენტში დოკუმენტის გაგზავნა თხოვნით, დაამტკიცოს მთავრობის განახლებული შემადგენლობა. მან მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მოუწოდა საფუძვლიანად, აუჩქარებლად განაზღვროს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა. 7-დღიანი ვადა 7 მაისს გადის.

მიუხედავად ამისა, მთავრობა არ დაელოდა პარლამენტის ვოტუმის გამოცხადების პროცედურას და ახალი მინისტრები უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას.

შექმნილ სიტუაციასა და მთავრობის სტატუსს იურისტები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ნაწილი, კონსტიტუციაზე მითითებით, მიიჩნევს, რომ ნდობის ვოტუმის გამოხატვამდე ყველა მინისტრი ასრულებს მხოლოდ მოვალეობებს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ასეთ ახსნას. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ხმალაძემ გააკრიტიკა ისინი, ვინც ქვეყნის მთავარ კანონს „არასწორად ხსნიან“.

ბევრმა იურისტმა უარი განაცხადა ჩაერთოს აქტიურ პოლემიკაში ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მათი სიტყვებით, შექმნილმა სიტუაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა: ერთიანი ეროვნული მოძრაობის მიერ მიღებული სასწრაფო ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდნენ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, უმთავრესად ბუნდოვანია და ატარებს — ერთი მეორის გამომრიცხავ ხასიათს. ამის შესახებ თავის დროზე საუბრობდა „ქართული ოცნებაც“. სხვათა შორის, იმის გათვალისწინებით, თუ როგორი გატაცებით ახდენდნენ თავის სასარგებლოდ ამ ცვლილებების ინტერპრეტირებას მმართველი კოალიციის წარმომადგენლები, ბევრ იურისტს არა აქვს მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება გამოასწოროს მდგომარეობა.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთმა რუსეთისთვის აგებული „მისტრალები“ შეიძლება, ჩაძიროს

„ლე ფიგაროს“ მონაცემებით, მოქმედებათა ძირითად ვარიანტებს შორის, რომლებსაც განიხილავს ოფიციალური პარიზი მოსკოვთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, შეისწავლიან შვეულმფრენმზიდების შესაძლო განადგურებას. მოახდენენ მათს ან დემონტირებას ან უტილიზირებას, ანდა ჩაძირვასაც კი ღია ზღვაში. ფრანგული გაზეთი ასეთ ვარიანტს „შოკისმომგვრელს“ უწოდებს.

ამერიკის შეერთებული შტატები ნახევარსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ კუბასთან საბორნო მიმოსვლას განაახლებს

გაცემულია პირველი ლიცენზიები. ოპერატორ კომპანიებს იმედი აქვთ, რომ პირველი ბორნები კურსირებას დაიწყებენ უკვე სექტემბერში. საბორნო მიმოსვლა შეწყდა 1960-იანი წლების დასაწყისში მალე კუბის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ხელისუფლებაში ფიდელ კასტრო მოიყვანა.

ჯილდო მას, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების აღგილსამყოფელს შეატყობინებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა ჯილდოს შესახებ 20 მილიონი საერთო თანხით ინფორმაციისათვის „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების 4 საკვანძო ლიდერზე, მათ შორის, საქართველოს მკვიდრზე თარხან ბათირაშვილზეც. რუსეთში მას „ისლამური სახელმწიფოს“ ჩრდილოეთი ფრონტის სარდლად მიიჩნევენ.

ექს-გუბერნატორი ჰაკაბი მორიგი პრეტენდენტი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელებისგან

არკანზასის ყოფილი გუბერნატორი იწყებს წინასაარჩევნო ბრძოლას. შესაბამისი განცხადება მან გააკეთა ქალაქ ჰოუპში, სადაც ოდესღაც დაიწყო თავისი პოლიტიკური კარიერა. „ჩვენ გვჭირდება იმედი, რომელიც ამერიკას ლიდერის პოზიციებზე გაიყვანს“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე თანმიმდევრულმა კონსერვატორმა.

ვალმოხდილნი ომშიც და მშვიდობაშიც



სიკვდილს გადარჩენილი მეთერთმეტე გიორგი ნატროშვილი

რომ იცოდეთ როგორ ეხალისებოდათ ხოლმე ჩვენი რედაქციის მბეჭდავ-მემანქანეებს გიორგი ნატროშვილის ნაწერების ბეჭდვა: ჩაწიკწიკებული იყო ასოები, ნალოლიავები იყო მათი მოხაზულობა, ხოლო სტილი ნათელი და ჩამოძერწილი...

— სთხოვე, იქნებ ერთი ეგზემპლარი ჩემთვისაც დაბეჭდოს...

— კი, ბატონო გიორგი, თქვენ წაბრძანდით, აწი ჩვენ ვუპატრონებთ...

— არა, არა... დავიცდი, მაინც დავხედავ...

მერე უკვე საღამოხანს სტამბაშიც მოგვაკითხავდა, ყურადღებით ჩაასწორებდა, თუ სადმე კორექტურა იყო. კარგად იცოდა, რომ ავტორის თვალი ბევრს ნიშნავდა ასეთ დროს.

ჩვენი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ ამბებს ვინ უნდა გამოხმაურებოდა? გიორგი ნატროშვილი! რეცენზია წიგნზე, პორტრეტი თანამედროვისა — ვისთვის უნდა შეგვეკვეთა? გიორგი ნატროშვილს ვურეკავდით... მაინცდამაინც დიდი ოპერატიულობით არ გამოირჩეოდა, ცოტა „გაჯანჯლება“ უყვარდა, და ესეც, უდავოდ, დადებითი შტრიხი იყო მისი მოღვაწეობისა, რადგან, რასაც დაწერდა და მოიტანდა, უკვე ღრმად ჰქონდა გააზრებული, საგანი და მოვლენა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. და ხატავდა იშვიათი ბელეტრისტის კალმით...

აი, მოაბიჯებს იგი „კომუნისტის“ რედაქციის დერეფანში, ნელა, თითქოს ფრთხილობს კიდეც დაბიჯებისას, განუყრელი კეპი ახურავს და იღლიაში ტყავის სქელი საქაღალდზე ამოუჩრია. ფრთხილობს დაბიჯებისას... ვერასოდეს გავუბედე მეკითხა ამ ნატყვიარი ფეხების ამბავი. ერთხელაც თავისთავად სიტყვას მოჰყვა: — დიდი სამამულო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე ვიბრძოდი — ტულისა და სმოლენსკის ოლქში. 1943 წელს მძიმედ დავიჭერი ფეხებში... მთელ წელიწადს ვიწექი... რამ გადამარჩინა... თურმე მეთერმეტე გიორგი ნატროშვილი კვდებოდა...

— როგორ მეთერთმეტე?

— ჩემს სოფელში გავიგე, ზემო მაჩხაანში, ამ ოცი წლის წინათ... ერთ დღეს წითელწყაროში ჩავედი და, რა თქმა უნდა, მშობლიურ სოფელსაც ვეწვიე... შემომეგება ჩვენი ნიკო მამაიაშვილი — სახელოვანი თავმჯდომარე, სალამ-ქალამის შემდეგ კულტურის სახლში მიმიყვანა, ომში დაღუპულთა მემორიალს ვაკეთებთ, უნდა გაჩვენოო. სინანულით მივჩერებივარ ამ თვალადი ბიჭების სურათებს და რას ვხედავ! სხვებთან ერთად ჩემი თანასოფელი ათი გიორგი ნატროშვილი შემომცქერის. ომის გზებზე დაცემული და შინმოუსვლელი... მეთერთმეტე გიორგი ძლივს გადავრჩი, მაგრამ დღესაც ყოველ ნაბიჯზე მახსენებს თავს ის საშინელება...

* * *

ომის გზებს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ყმაწვილი გაუყვა, შემდეგ კი მოთხრობების წერა იმ შთაბეჭდილებებმა დააწყებინა. ასე იქმნებოდა — „როგორ ვნახე მოსკოვი“, „საჭიდაო“, „ბავშვი“, „დედა“, „ახალი მთვარე“ — ნაწარმოებები, რომლებმაც შემოქმედებითი სიხარული განაცდევინეს მწერალს, თავი შეაყვარეს მკითხველს, ხოლო ახალ ქართულ ლიტერატურას ომის თემებზე შექმნილ ჭეშმარიტ პროზად შეემატნენ. მათში მკითხველს იტაცებდა ბუნებრიობა, თხრობის ოსტატობა, ხასიათების მრავალსახეობა. სწორედ ხასიათებიდან გამოირჩეოდა მისი გვიანდელი ორი მშვენიერი მოთხრობა — „უდარდელი კაცის სიკვდილი“ და „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. დაუვიწყარია ამ მოთხრობათა გმირები — სიცოცხლის უზომოდ მოტრფიალე, ორი გონებამახვილი მოხუცი მიხა და იორამი...

გიორგი ნატროშვილის ერთ-ერთი უმთავრესი წახნაგია კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, იგი დარჩა ეროვნული ლიტერატურული ცხოვრების პირუთვნელ შემფასებლად, მის ნათქვამს წონა ჰქონდა, მის რჩევას კეთილი გული და მეგობრული კილო ახლდა, მის წერილებში უმალ იგრძნობთ დიდ პროფესიონალიზმს და განსწავლულობას. თავის თანამედროვეთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს — დავით გურამიშვილის, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები ავსებს.

ომის ქარცეცხლში სიკვდილს გადარჩენილი მეთერთმეტე გიორგი ნატროშვილს... ყოველთა შემმუსვრელი სიკვდილი მოხუცებულობის ჟამს ეწვია და ისიც ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

იდგა, როგორც მეციხოვნე...

კარგა ხნის წინათ, დილ-დილაობით, აჟრიამულებულ ვერის უბანში ოდნავ თმაშევერცხლილი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი გამოჩნდებოდა ხოლმე. მიაცილებდა იგი ციცქნა შვილიშვილს სკოლის კარამდე, მერე კი ენერგიული ნაბიჯებით გამობრუნდებოდა უკან.

ეს ირაკლი ციციშვილი იყო.

იმ ყმაწვილებიდან, სკოლის გარშემო რომ ირეოდნენ, არავინ იცოდა მისი ვინაობა, სმენით კი, ალბათ, ზოგს სმენოდა, როგორ იბრძოდა ირაკლი ციციშვილი დიდ სამამულო ომში და როგორ დაუბრუნდა იგი სამშობლოს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით.

მაინც როგორი იყო ეს გზა?

1943 წლის 8 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ ვკითხულობთ:

„...ომის პირველი დღეებიდანვე ირაკლი ციციშვილი წითელ არმიაშია, როგორც ინჟინერ-მშენებელი იგი პირველად სამხედრო კვალიფიკაციის მისაღებად სპეციალურ კურსებზე იგზავნება, ხოლო შემდეგ ფრონტის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე სანგრებისა და ზღუდეების ასაშენებლად.

ამხ. ციციშვილი სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილეა. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მის დამსახურებას და 1943 წლის იანვარში სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

გადის დღეები, წითელი არმია გადავიდა შეტევაზე... ირაკლი ციციშვილი უკვე ბრძოლებში ნაწრთობი ოფიცერია. მან წარმატებით შეასრულა სარდლობის დავალება. ბრძოლა უძნელეს პირობებში მისმა ნაწილმა მისი ხელმძღვანელობით უზრუნველყო. ჯარისა და შეიარაღების შეუფერხებელი გადაყვანა დნეპრზე, მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისთვის, დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ გამაგრებისთვის და, ამასთან, მამაცობისა და გმირობის გამოჩენისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულებით კაპიტან ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

* * *

საბრძოლო გზას პრაღაში დაამთავრებს შვიდჯერ მძიმედ დაჭრილი გმირი ოფიცერი, შეეგებება მშობლიური თბილისი ომიდან დაბრუნებულს, ხოლო მის სიმამაცეს ლექსში შეაქებს ახალგაზრდა ანა კალანდაძე: „გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს“.

დადგა დრო მშვიდობიან შრომაში ნიჭისა და უნარის გამოჩენისა, და ირაკლი ციციშვილი ისევ თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტს მიაკითხავს, ფაკულტეტს, რომელიც 1941 წლის 24 ივნისს დაამთავრა და სამხედრო ფარაჯაც ჩაიცვა. იგი სამეცნიერო მუშაობაში ებმება: მოგვიანებით იგი ხდება პროფესორი, „გეპეის“ არქიტექტურული ფაკულტეტის კათედრის გამგე და მომავალი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საყვარელი პედაგოგი...

ირაკლი ციციშვილს არაერთი მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, თუმცა, მისებრ პატრიოტი კაცისთვის, რომ იტყვიან, ზედგამოჭრილი იყო საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსად დანიშვნა. და ისიც, როგორც დარაჯი, როგორც მეციხოვნე, ისე ედგა ძნელბედობას გადარჩენილი, ჩვენთვის აგრერიგად სათაყვანო ციხე-ტაძრებს და მოუღლელად ხელმძღვანელობდა მათ აღდგენა-რესტავრაციას. ეს იყო საქართველოს მთასა და ბარში, ეს იყო თბილისში... მაგალითად, აბანოთუბნის აღდგენა, რისთვისაც ირაკლი ციციშვილი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

— მე უფრო ის მესიამოვნა, — მითხრა იმ დღეებში შეხვედრისას ბატონმა ირაკლიმ, — ყველა რომ კმაყოფილი დარჩა აბანოთუბნის განახლებით... ისე, კაცნი ვართ და, რა თქმა უნდა, გამიხარდება, შრომას რომ ასე დაგიფასებენ... თბილისის საპატიო მოქალაქეობა უკვე ბევრს ნიშნავს...

— თქვენი სამმართველო ხომ ძველი თბილისის სხვა ობიექტებზეც მუშაობდა?..

— მაშ... ჩვენი რესტავრირებულია სიონი, ანჩისხატი და კიდევ სხვა ობიექტები...

— საერთოდ, საქართველოში რამდენი ძეგლი აღადგინეთ?

— ექვს წელიწადში 600 ძეგლი შეკეთდა, და ეს, რა თქმა უნდა, მაინც არ არის ბევრი, რადგან 25000 ძეგლი გვაქვს აღრიცხვაზე.

— ბატონო ირაკლი, საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში მშენებარე მასივებისა და არქიტექტურული ნიმუშების შესახებ...

— ჩემი აზრით, ახალი მასივები მაინც არ განსაზღვრავენ ქალაქის არქიტექტურულ სახეს. იცით თუ არა, რომ ლონდონს, ნიუ-იორკს, სან-ფრანცისკოს 150 წელია, ერთი კვადრატული მეტრი მასივი არ შემატებია და შიგა რეკონსტრუქციის ხარჯზე იზრდებიან? საქართველოში, ასეთ მცირემიწიან ქვეყანაში, მითუმეტეს გასაფრთხილებელია ყოველი მტკაველი ფართობი...

— გამოდის, რომ თქვენ ქალაქის გაზრდის წინააღმდეგი ხართ...

— კატეგორიულად!

— ბატონო ირაკლი, მართლა ხუთ დღეში ააშენეთ დნეპრზე ხიდი?..

— ოთხდღენახევარში... ხუთი დღის ვადა მოგვცა უმაღლესმა მთავარსარდლობამ... 450-მეტრიანი იყო ხიდი... წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით, მაგრამ რწმენა და პასუხისმგებლობის გრძნობა გვქონდა... ახლა ზოგიერთ ხიდს წლობით აშენებენ...

* * *

მრავალთაგან, რამდენიმე ასეთი ბრწყინვალე სტრიქონიც აქვს შოთა ნიშნიანიძეს:

„ო, ციხის ნისლო — სუნთქვავ ჩემო და
ფიქრო ჩემო,
ციხის ნაჟურო — ჩემო
სისხლო და ჩემო ცრემლო.
ო, ციხის ლოდო,
ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო —
შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო ჩემო სხეულო,
ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებნო მკვრივად,
ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც მტკივა“.

თითქოს ირაკლი ციციშვილი იყო ეს, მართლაც მეციხოვნესავით რომ იდგა და სამშობლოსთვის ლოცულობდა.

ვილენ მარდალეიშვილი.

განცხადება

2015 წლის 30 ივნისს, 14 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7), გაიმართება სოფ. თაბაგრების მიმდებარედ შპს „GI-MN-CA“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა, ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული კარიერებიდან მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი გამდიდრება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 5 (95) 59 52 55; 5 (95) 28 75 60.**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში

შპს „GI-MN-CA“-ს ადმინისტრაცია

◎ ავტოსპორტი

დათა ქაჯაიამ „ჰუნგარორინგზე“ ორი რბოლა მოიგო

დათა ქაჯაიამ ევროპის ტურინგის კლასის ავტომობილების თასზე (ETCC) დებიუტი ორი გამარჯვებით დააგვირგვინა. სერიის ორ სასტარტო ეტაპზე, რომლებიც ბუდაპეშტის „ჰუნგაროორინგზე“ ჩატარდა, მას ბადალი არ ჰყავდა თავის კლასში (სუპერ 2000 TC2T), რომელიც სერიის უმაღლეს კლასად კი ითვლება, მაგრამ უსწრაფესი არაა. უფრო მეტიც, დათას პირველ რბოლაში აბსოლუტურ ჩათვლაშიც კი შეეძლო გამარჯვება...

ETCC-ს სერიის მეორე ეტაპი სლოვაკეთში ჩატარდება და მას „სლოვაკიარინგი“ უმასპინძლებს.

ბეჟან დოლიძე

◎ მეორედ დაბადება

ბიანკი კომიდან გამოიყვანეს



როგორც მისი ოჯახი იტყობინება, ჟიულ ბიანკი აღარ იმყოფება მართვად კომატოზურ მდგომარეობაში. მართალია, მისი ვითარება კვლავაც კრიტიკულია, მაგრამ დამოუკიდებლად სუნთქვა შეუძლია და მდგომარეობაც ადრინდელზე გაცილებით უკეთესია. ის ნიცის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც მუდმივად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა.

25 წლის ბიანკის ინციდენტი იაპონიის შარშანდელი დიდი პრიზის დროს შეემთხვა. ფრანგ მრბოლს შეცდომა მაშინ მოუვიდა, როცა ადრიან სუტილის ავარიის გამო დისტანციაზე პეისკარი გამოვიდა. ბიანკიმ საჭე ვერ შეინარჩუნა და იმ საევაკუაციო მანქანას დაეჯახა, რომელიც მოსახვევიდან სუტილის „ზაუბერის“ გასატანად იყო ტრასაზე შესული.

ბიანკი სწორედ ამ ევაკუატორის ქვეშ შევარდა. მრბოლმა თავის მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მკურნალობა მართვადი კომის ქვეშ გაგრძელდა. თვეების განმავლობაში კომიდან მისი გამოყვანა ვერ ხერხდებოდა, თუმცა, პერიოდულად ექიმები მდგომარეობის გაუმჯობესებას აფიქსირებდნენ. ამჟამად კი, რაც კომაში აღარ იმყოფება, დაიწყო მკურნალობის ახალი ეტაპი, რომლის მიზანიც ტვინის ფუნქციების გაუმჯობესებაა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ამოქმედდა მშრალი კანონი

უჩვეულო ფაქტი მოხდა სუპერლიგის პლეი-ოფის მეორე მატჩში „რუსთავსა“ და „ოლიმპს“ შორის. მასპინძლებმა დამატებითი დრო მშრალად — 13:0(!) მოიგეს, მთლიანად შეხვედრა კი 85:72 და სერიაში დაწინაურდნენ — 2:0.

დანარჩენი შეხვედრები: „დინამო“ — „არმია“ 86:70 (2:0), შსს აკადემია — „სოხუმი“ 105:75 (1:1), „ქუთაისი“ — „ბათუმი“ 75:78 (0:1).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სკანდალის ეძო

სოსო ფრუიძე: გაუგებარია, მაინცდამაინც „ჩიხურას“ სახელმა რატომ გაიჟღერა



საჩხერის „ჩიხურას“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მატჩების ჩაწყობაში დაკავებული 8 პირიდან ერთ-ერთთან, დავით გენძეხაძესთან იმერულ კლუბს ურთიერთობა 2012 წლის შემოდგომის შემდეგ არ ჰქონია.

სოსო ფრუიძე: „ეს კაცი ჩვენთან 2011-2012 წლებში მუშაობდა, როდესაც პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადავედით. 2012-2013 წლების სეზონის პირველ წრეშიც კლუბში იყო და მას მერე „ჩიხურასთან“ შეხება არ ჰქონია.

საერთო ჯამში, წელიწადნახევრის განმავლობაში სელექციონერი იყო. ის ჩვენამდეც მუშაობდა სხვადასხვა კლუბებში და მერეც, ამიტომ გაუგებარია, მაინცდამაინც „ჩიხურას“ სახელმა რატომ გაიჟღერა. საერთოდ, არ მეგულება საქართველოში მწვრთნელი, ფეხბურთელი, ფედერაციის წარმომადგენელი თუ ჟურნალისტი, ვინც მას არ იცნობს.

— „ჩიხურადან“ რატომ დაითხოვეთ? მსგავს „ბინძურ“ საქმეებში შემჩნეული ხომ არ იყო?

— უბრალოდ, აღარ დაგვჭირდა და სელექციას თავად ვაწარმოებდით. მითუმეტეს, იმ დროისთვის კლუბში ადგილობრივმა მწვრთნელებმა A ლიცენზია აიღეს. თუ მე და ფიზმომზადების მწვრთნელს არ ჩავთვლით, კლუბის პერსონალი და სამწვრთნელო შტაბი ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული.

— საქართველოში „ჩაწყობილი“ მატჩების პრობლემა როგორ უნდა მოგვარდეს?

— ძალიან ცუდია, რაც მოხდა, ფეხბურთისთვის და ამ სფეროში დაკავებული ხალხისთვის. რა თქმა უნდა, ტოტალიზატორი ფეხბურთს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეს. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოშია და ერთიანად ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ მინიმუმამდე უნდა დავიდეს. პროკურატურამ, ფეხბურთის ფედერაციამ და იმ ხალხმა, ვინც ქართულ ფეხბურთში ვსაქმიანობთ, პრობლემა ერთობლივი მუშაობით უნდა მოვაგვაროთ.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

ბრძოლა სხვაა, ომი — სხვა

მადრიდის „რეალი“ ზედიზედ მეხუთედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, ხოლო ტურინის „იუვენტუსი“ — თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ. ეტყობა, ამიტომაც მიიჩნეოდა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოქმედი გვირგვინოსანი აღნიშნულ წყვილში ფავორიტად, მაგრამ...

„იუვენტუსი“ — „რეალი“ 2:1 (1:1)
გოლები: მორატა, ტევესი (პენალტით); რონალდუ.

პოგბა, ასამოა, კასერესი — ერთის მხრივ და მოდრიჩ-ბენზემას წყვილი — სტუმართაგან. ეს მათი ნუსხაა, ვინც ტრავმების გამო კარიერის, ვინ იცის, იქნებ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გამოტოვა. როგორც აღმოჩნდა, „სამეფო კლუბს“ გაცილებით სოლიდური დანაკლისი ჰქონია.

დავიწყოთ იმით, რომ ხორვატი საყრდენი ნახევარმცველის არყოფნაში უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებდა კროოსის მეწყვილედ შუახაზში იძულებით გადასროლილი სერხიო რამოსი, რომლის თითქმის ყოველი გადაცემა იტალიელთა ლუკმა ხდებოდა. დაუმატეთ ამას ნომინალური თავდამსხმელის გარეშე თამაში და მიხვდებით, სად იმალება „ბებერი ქალბატონის“ ლოკალური წარმატების საიდუმლო.

რაც შეეხება მომავალი ფინალისტის ვინაობას, მართალია, აპენინელებმა პირველი ბრძოლა მოიგეს, მაგრამ ომის გამარჯვებულის ბედი 13 მაისს ესპანეთის დედაქალაქში გადაწყდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მომხიბვლელი და ნაკლებად ვულგარული სტეფანი ორტეგა

ურუგვაელი მოდელი სტეფანი ორტეგა სხვა ლათინოამერიკელი ლამაზმანებისგან განსხვავებით მთლად მოშიშვლებულ მდგომარეობაში ფოტოების გადაღებას ერიდება და მხოლოდ ჩვეულებრივი, ნაკლებად სექსუალური კოლაჟებით კმაყოფილდება.

პირმშვენიერი სტეფანი მის ამ ნაბიჯს იმით ხსნის, რომ ტრადიციების დამცველ კათოლიკურ ოჯახშია გაზრდილი და ვულგარულობა განსაკუთრებით სძულს და ეზიზღება. სამაგიეროდ, სტეფანის ნამეტანი უყვარს ურუგვაის საფეხბურთო ნაკრები და ამ გუნდის ერთგვარ თილისმადაც ითვლება.

სტეფანი ორტეგაზე ადრე იმასაც კი იძახდნენ, ამ გოგოს გულში ლუის სუარესი ჰყავს ჩავარდნილი და ურუგვაის ნაკრების დიდ გულშემატკივრად თავი სწორედ სუარესთან დაახლოების სურვილის გამო გამოაცხადაო, თუმცა, თვითონ სტეფანი ამ ყველაფერზე მტკიცე უარს ამბობს.

რუსტომ რაჭველიშვილი

◎ ინფორმაცია

ებრაელი ტურისტები აჭარას სტუმრობენ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი მორიგ საინფორმაციო ტურს ებრაელი ჟურნალისტებისათვის ჩაატარებს. 6-9 მაისს ებრაული მედიის წარმომადგენლები რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნობიან. აჭარა-ბათუმის შესახებ სარეკლამო ხასიათის სტატიები ყოველდღიურ პოპულარულ გაზეთებში, ჟურნალებსა და საინფორმაციო პორტალებზე განთავსდება. საინფორმაციო ტურში ჩართულ მედიასაშუალებებს მთლიანობაში 3 მილიონამდე წვდომა ექნება, რაც კიდევ უფრო გაზრდის რეგიონის პოპულარობას ისრაელის სახელმწიფოში.

სასტუმრო „დივანში“ სტუმრებს ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები სპეციალურ პრეზენტაციას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც ისინი დაცულ ტერიტორიებსა და აჭარის მაღალმთიან ადგილებს დაათვალიერებენ. ებრაელი ტურისტები განსაკუთრებით გამოირჩევიან დიდი ინტერესით ეკოტურიზმის მიმართ. შესაბამისად, ტურიზმის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული პროგრამა ტურიზმის ამ მიმართულების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ისრაელი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ერთ-ერთ სამიზნე ტურისტულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ბოლო წლებია სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება ტარდება. 2012 წლიდან თელავივიდან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში პირდაპირი ჩარტერული ფრენები კვირაში ორჯერ ხორციელდება.

ისრაელი ბოლო წლებში უცხოელ ტურისტთა შორის ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით რეგიონის განთავსების ობიექტებში 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 8,2%-ით მეტი ებრაელი ტურისტი იმყოფებოდა.

გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, ბატონი

რეზო ჩხეიძე

მისმა გენიალურმა ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“ მსოფლიოს გააცნო საქართველო.

ბატონი რეზო იყო დიდებული ხელოვანი, ბრწყინვალე პიროვნება და დიდი საზოგადო მოღვაწე. ბატონი რეზო იყო საამაყო შვილი საქართველოსი, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ბატონი რეზოს გარდაცვალებას, უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და მთელ საქართველოს.

მერაბ ბერძენიშვილი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი ქართველი კინორეჟისორის, ქართული კინოს სიამაყის, ქართული თეატრის დიდი მეგობრის

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.



ჩხეიძეების საგვარეულო სახლი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი კინორეჟისორის, ბატონ

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბატონი რეზო იყო საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული კინოხელოვნების შექმნაში და დაგვიტოვა არაერთი კინოშედევრი, მის ნიჭსა და შემოქმედებას მსოფლიო იცნობს და აღიარებს. ბატონი რეზო განსაკუთრებით საამაყო პიროვნება იყო და იქნება ჩხეიძეების საგვარეულო სახლისთვის.

ალექსანდრე, პეტრე, რუსუდან ჩხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული კინოს კლასიკოსი, დიდი რეჟისორი

რეზო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს ღვაწლმოსილი პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ლეგენდარული „ჯარისკაცის მამისა“ და სხვა კინოშედევრების ავტორის

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო.

საჩხერის კულტურის სამსახური,
საზოგადოება „საჩხერელი“, შპს „საჩხერის კინო“

ხსოვნა

ლალი ჟღენტი

საქართველოს ბოტანიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი ბოტანიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, მცენარეთა დიდი ქომაგი **ლალი ჟღენტი**.

1964-2006 წლებში ქალბატონი ლალი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქალბატონი ლალი იყო ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის განყოფილების გამგე, ხოლო 2006 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კონსერვაციის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად. იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ბიომეურნეობის, მებაღეობისა და ფიტოდიზაინის ცენტრის კავშირის“ დირექტორი.

ლალი ჟღენტი წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, მონაწილეობდა ბიომრავალფეროვნების დაცვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და საგრანტო პროექტებში. იყო ავტორი 60-მდე სამეცნიერო ნაშრომისა მცენარეთა რეპროდუქციულ ბიოლოგიაში. ქალაქ თბილისის მერიის მიერ დაჯილდოებულია პრემიით „არქიტექტურული პრემია 2010“ ლანდშაფტური დიზაინის დარგში, მედლით „ბუნების ქომაგი“ და დიპლომით — გარემოს დაცვის საქმეში გაწეული ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ქალბატონ ლალის ახასიათებდა მეცნიერისათვის მეტად მნიშვნელოვანი თვისება — სიყვარული, თავდადება და პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის მიმართ. იგი მუდამ დარჩება კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში როგორც დიდი ადამიანი, უღალატო მეგობარი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იური გუგუჩია, ნოდარ შარტავა, ლერი ჭითანავა, თამაზ ცანავა, ვაჟა ფიფია, ანზორ ქუჩულორია, კარლო ვეკუა, რევაზ ცაავა, ადიკო გვალია, გივი სოსელია, მურმან ნაჭყებია, ოთარ ჭითანავა მწუხარებას უცხადებენ სოსო ჩხაიძეს ძმისწულის

ვანო ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე ჩხეიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული ინჟინერი, შესანიშნავი პიროვნება და უახლოესი მეგობარი

რამაზ გოკიელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნეტლეკი
293-37-47; 568 82-09-94.

◎ დედაქალაქი

ტროტუარებზე პარკირება ეტაპობრივად შეიზღუდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე „სითი პარკთან“ დაკავშირებულ ერთ-ერთ თემაზე, ტროტუარებზე პარკირების საკითხზე ისაუბრა.

„ვინაიდან საზოგადოების მხრიდან არსებობდა მაღალი ინტერესი იმის თაობაზე, რომ ტროტუარებზე პარკირება ეტაპობრივად შეგვეზღუდა, ჩემი დავალებით, ჯერ კიდევ სამი თვის წინ დავიწყეთ ტროტუარებზე არსებული მდგომარეობის შესწავლა. სადაც არის ძალიან ვიწრო ტროტუარი, მანქანის პარკირება და ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილება ერთდროულად შეუძლებელია, ჩვენ ეტაპობრივად ვზღუდავთ ავტომანქანების პარკირებას. დღესაც ვამტკიცებთ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც 50 ადგილი ვიწრო ტროტუარებზე პარკირება უნდა მოიხსნას. სამაგიეროდ, იმისათვის, რომ მძღოლებს დისკომფორტი არ შეექმნათ, აქტიურად ვმუშაობთ მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

◎ სეზამ, გაალე!

თბილისის ყველაზე ძვირად ღირებული ბინები

საქართველოში **უძრავი ქონების უამრავი სააგენტო და ვებგვერდი არსებობს, რომელთა საშუალებითაც სასურველი ბინისა თუ სახლის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს.**

bpn.ge შეეცადა, გაერკვია, რა ღირს ყველაზე ძვირად ღირებული ბინები საქართველოში. ამის გასარკვევად რამდენიმე სააგენტოს დავუკავშირდით. როგორც აღმოჩნდა, ბინები ყველაზე ძვირი თბილისსა და თბილისის შემოგარენში ღირს და მათი ფასი რამდენიმე მილიონ დოლარსაც კი აჭარბებს.

მაკლერების თქმით, რაც უფრო მეტი კომფორტია ბინაში, მით უფრო ძვირად აფასებს თავის ქონებას მფლობელი. ძვირად ღირებული ბინის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი მდებარეობაა. ერთ-ერთი საგენტოს მენეჯერმა გვითხრა, რომ ვაკეში, ატენის ქუჩაზე ყველაზე ძვირად ღირებული ბინა მილიონ დოლარად არის შეფასებული. **„ჩვენი დაკვირვებით ძვირად ღირებულ უძრავ ქონებას მფლობელი დიდი ხნის განმავლობაში ჰყიდის, მაგრამ მყიდველი აგვიანებს. საქართველოში ისედაც ჭირს და მილიონებად შეფასებულ ქონებას იშვიათად ყიდულობენ. ვინც ყიდულობს, მათი უმეტესობა უცხოელია“,** — განაცხადა საგენტოს მენეჯერმა.

bpn.ge-სთან საუბრისას, მაკლერები ასევე აღნიშნავენ, რომ საცხოვრებელი ბინები ორ ნაწილად უნდა დავყოთ: ბინები კორპუსში და კერძო სახლები, რომელსაც საკუთარი კარ-მიდამო აქვს. **„როგორც წესი, კერძო სახლებს უფრო მაღალი ფასი აქვს. ამჟამად, მთაწმინდის რაიონში იყიდება ტრიპლექსი, რომელიც 1,8 მილიონ დოლარად არის შეფასებული, თუმცა, მისი გაყიდვა საკმაოდ გვიჭირს“,** — ამბობენ უძრავი ქონების სააგენტოში.

როგორც კომპანია makler.ge-ს მენეჯერმა ხათუნა შურღაიამ გვითხრა, უძრავი ქონება ყველაზე ძვირი ვაკესა და მთაწმინდაზეა. მისი თქმით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბინის მდებარეობასა და რემონტს. makler.ge-ის მონაცემებით, თბილისის ცენტრალურ უბნებში, კეთილმოწყობილ ბინაში ერთი კვადრატული მეტრის ფასი 3 000 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

როგორც saqme.ge-ის რედაქტორმა ლელა არაბულმა bpn.ge-სთან საუბრისას განაცხადა, დღევანდელი მონაცემებით, მილიონ დოლარად შეფასებული ცხრაოთახიანი ბინა სარდაფით ბარნოვზე იყიდება. ვაკის პარკთან მდებარე ტრიპლექსი — 565კვ. მეტრი, 940 000 დოლარი ღირს. saqme.ge-ს მონაცემებით, ბინებს მაღალი ფასი აქვს რუსთაველის გამზირზეც. მაგალითად, ამ ეტაპზე 8-ოთახიანი ბინა 700 000 დოლარად იყიდება.

თიკო გურაშვილი

განცხადება

2015 **წლის** 28 მაისს 14 საათზე დანიშნულია სს. „ლაღიძის აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის არჩევა;
2. 2015 წლის სამეურნეო საქმიანობის, ბალანსის განხილვა და მოგების განაწილება;
3. სხვადასხვა საკითხები.

სს „ლაღიძის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის 150.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები მაისში

მაისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 9-12, 15, 18-25 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

9 – მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რძაში. შესაძლებელია დეპრესია, ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამწვავება – ართრიტი, ართროზი, რევმატიზმი. არ არის გამორიცხული პრობლემები კბილებთან, კანთან და სასქესო ორგანოებთან დაკავშირებით. ერიდეთ ინფექციებს, გაციებას, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს.



11 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, იმუნიტეტის დაქვეითება, ორგანიზმში გაცვლითი პროცესების შენელება, დაბნეულობის, ნერვიულობისა და გაღიზიანებულობის გამოჩენა. ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის, ძალების აღდგენისათვის, ფიზიკური ვარჯიშებისთვის.

12 – მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში. დიდია ავარიულობისა და ტრავმასაშიში სიტუაციების ალბათობა, ფსიქიკური და ინფექციური დაავადებების გამწვავება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებსა და ყავაზე. კარგია დავასრულოთ წამოწყებული საქმეები, ხელი მოვკიდოთ შემოქმედებით საქმიანობას. მნიშვნელოვანი და პასუხსაგები საკითხების გადაწყვეტა უმჯობესია გადავდოთ.

15 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძში. შეიძლება გაჩნდეს გაღიზიანებულობა და მოუთმენლობა. უარი თქვით მოწევაზე, შოკოლადზე, ყავაზე, ცხიმიან და მძიმე საკვებზე. სვით მეტი წყალი. დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, გასეირნეობა, ფიზიკური ვარჯიშები.

18 – სავსე მთვარე, მთვარის შეერთება მარსთან ტყუპებში. ორგანიზმი მაქსიმალურადაა დასუსტებული, იმუნიტეტი და ტვინის აქტიურობა დაქვეითებულია. გელოდებათ სიძნელეები გადაწყვეტილებების მიღებაში, შრომისუნარიანობის დაქვეითება. ნუ დაგეგმავთ ქირურგიულ ოპერაციებს, ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს.

19 – მთვარის მერკურთან შეერთება ტყუპებში. გაზრდილია კომუნიკაბელურობა, ცნობისმოყვარეობა და შერჩევითობა. განსაკუთრებით მგრძნობიარე და მტკივნეული იქნება ნერვული სისტემა. ფრთხილად იყავით ტრანსპორტით მოგზაურობისა და ყურადღებიანი – დოკუმენტების შედგენის დროს.

21 – მთვარის ვენერასთან შეერთება კირჩხიბში. გაზრდილია ემოციურობა, მგრძნობელობა და ეჭვიანობა. შესაძლებელია დარღვევები საკვების გადამმუშავებელი სისტემის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მუშაობაში. შეიძლება გაჩნდეს შეშუპება, ტკივილი ყელში, სურდო. ხელსაყრელი დროა სახლში სიმყუდროვის შექმნისთვის, გულთბილი საუბრებისთვის, ახლო მოგზაურობისთვის, კონტაქტების მოწესრიგებისათვის.

24 – მთვარის იუპიტერთან შეერთება ლომში. არ არის გამორიცხული უძილობა, ტკივილები ზურგში, რადიკულიტი, კანისა და ღვიძლის დაავადებანი. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება, ძილი. არ არის სასურველი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვები.

25 – მთვარის პირველი მეოთხედი. მაღალი ფიზიკური და გონებრივი აქტივობის პერიოდი. გაზრდილი მომთხოვნელობა, უყურადღებობა და გაღიზიანება შეიძლება გახდეს დავებისა და კონფლიქტის მიზეზი. შესაძლებელია უძილობა, ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური დათვალიერებისთვის, ექიმთან მისვლისთვის, ოპერაციის მომზადებისთვის.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

არ იცოდეს რა უნდა – ესაა მხოლოდ ბერბიჭას პრივილეგია. ცოლიანი მამაკაცი ცხოვრებაში თავისუფლების ამ ფორმით სარგებლობის ბედნიერებას მოკლებულია.

* * *

სულელი ოცნებობს, რომ გახდეს ჭკვიანი;
ჭკვიანი ოცნებობს, რომ გახდეს ბრძენი;
ბრძენი კი ათას სისულელეზე ოცნებობს.

* * *

დავწერე საკუთარი რეზიუმე და ყელში ბურთი გამეჩხირა... დედა, დედიკო, ეს რა ბიჭი ვყოფილვარ...

* * *

– **ისე,** კაცმა რომ თქვას, რამდენი ხალხი დაიღუპა ამ ლოთობით...
– ... და რამდენი გაკეთდა?!..

* * *

მართლაც გასაოცარია სიცოცხლის წრებრუნვა: საბავშვო ბაღში ხარ და სკოლაში გინდა წასვლა... სკოლაში ხარ და – უნივერსიტეტისკენაა შენი გონება... უნივერსიტეტში ხარ და – სამსახურზე ფიქრობ... სამსახურში ხარ და – საბავშვო ბაღში გინდა, თანაც არსად წასვლა რომ აღარ გჭირდებოდეს...

* * *

– **რა** ვქნა, რა უბედური კაცი ვარ, ქალი ვერ მიმიყვანია სახლში: ჯერ იყო და მშობლებისა მერიდებოდა, ახლა კი – ცოლი მიშლის!..

* * *

პოლიციის უფროსი თავის ქვეშევრდომს უწყრება:
– **რა** არის, ვასო, ამდენი ხანია არც ერთი საქმე არა გაქვს გახსნილი!
– **რას** ბრძანებთ, ბატონო კუკური, გახსნილიც მაქვს და გადაფურცლულიც!

◎ ჩვენი კარაბადინი

ადრეული ჩიტუნიები უფრო ჯანმრთელები არიან

დიაბეტის **განვითარებისა და კუნთოვანი მასის დაკარგვის რისკი უფრო მაღალი აქვთ მათ, ვინც წვება და დგება გვიან, თუნდაც ძილის თანაბარი ხანგრძლივობა ჰქონდეთ, მიაჩნიათ კორეელ მეცნიერებს.**

გამოკვლევაში მონაწილეობა 47-59 წლის 1620 კაცმა მიიღო. მოხალისეებმა თქვეს, თუ ჩვეულებრივად რამდენ ხანს სძინავთ, როდის დაძინებას ანიჭებენ უპირატესობას, რამდენ დროს უთმობენ ფიზკულტურას... ყველა მონაწილისგან აიღეს სისხლის ნიმუშები, რათა შეემოწმებინათ ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმში. გამოსაცდელებმა ასევე გაიარეს გამოკვლევა, რომელიც ავლენდა სხეულში ცხიმოვანი და კუნთოვანი ქსოვილის პროცენტს.

კვირის ციფრები

1990 წლიდან დედამიწის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა 6 წლით გაიზარდა, დაიანგარიშა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ.

თითქმის 600 კაცს ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული ქრონოტიპი: 480 აღმოჩნდა „ტოროლა“ და 95 – „ბუ“. დანარჩენები ამ ორ ტიპს შორის შუალედურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ბუები“ საშუალოდ „ტოროლებზე“ ნაკლები აღმოჩნდნენ, ცხიმოვანი ქსოვილის პროცენტი მათ, როგორც წესი, ჰქონდათ უფრო მაღალი, ცხიმები კი სისხლში – მეტი. მამაკაც „ბუებს“ ადრე ეწყებოდათ კუნთოვანი მასის დაკარგვა, ქალ „ბუებს“ კი – ჰქონდათ გაზრდილი მეტაბოლური სინდრომისა და დიაბეტის რისკი.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ „ბუები“ ყველაზე ხშირად ეწევიან ცხოვრების არაჯანსაღ წესს: ეწევიან, ჭამენ უშუალოდ ძილის წინ და ბევრ დროს ატარებენ მჯდომარე მდგომარეობაში.

ჩვენ, ყველა ადამიანები ვართ...

მორწმუნეებიც, ურწმუნოებიც სცოდავენ და აკეთებენ სიკეთეს ერთნაირი სიხშირით, ამბობენ ამერიკელი ფსიქოლოგები ნიუ-იორკში წმინდა პეტრეს უნივერსიტეტიდან.

მორალის კვლევათა უმრავლესობა სრულდებოდა ხელოვნურ პირობებში, სადაც დაავადებების სახით იყო გამოგონილი ეთიკური სიტუაციები (მაგალითად, იმის აუცილებლობა, რომ გადაგერჩინა ერთი ან ხუთი კაცი არჩევანის ჰიპოთეტურ სიტუაციაში). მეცნიერებმა მონახეს რეალურ ვითარებაში ჩვენი ქცევების შესწავლის ხერხი. მათ დაადგინეს სპეციალური დამატება მოხალისეთა სმარტფონებზე. პროგრამა დღეში 5-ჯერ უგზავნიდა მათ მითითებას, რომლის გავლის შემდეგაც საჭირო იყო ანონიმურად ესაუბრათ იმის შესახებ, თუ რა მოხდა უკანასკნელ საათებში, და შეეფასებინათ თავიანთი ემოციების ძალა ამ მოვლენებთან დაკავშირებით შკალით 0-დან 5-მდე. მოხალისეთა პირობებში იყო ფარული და მეცნიერებმა ანგარიშების კითხვის დროს არ იცოდნენ, თუ რომელი მათგანი როგორი აზრისა იყო.

მორწმუნეებისა და ურწმუნოების ცუდი და კარგი ქცევების შეფარდება იყო ერთნაირი, თუმცა, მოტივები სხვადასხვა რწმენის ადამიანებისა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მაგალითად, ლიბერალები უფრო ხშირად ხელმძღვანელობდნენ სამართლიანობის კრიტერიუმებით, კონსერვატორები კი – პატივისცემით საერო და რელიგიური ავტორიტეტებისადმი. თუმცა, ერთნიც და მეორენიც ყველაზე ხშირად აკეთებდნენ რაღაც კარგს სხვებისთვის ზრუნვის სახელით.

გამოკითხვა

თუ გაქვთ სახლში აფთიაქი წამლების მარაგით ყოველი შემთხვევისათვის?

79 პროცენტი – დიახ, ჩვენთან სახლში ყოველთვისაა პრეპარატები გაცივების, მოწამვლის, ჭრილობისა და დაჟეჟილობის წინააღმდეგ...

12,5 პროცენტი – აფთიაქი არის, ოღონდ ჩვენ მას იშვიათად ვათვალიერებთ და რა არის იქ, არ ვიცი.

7,5 პროცენტი – არა, საჭიროა, რომ წავიდეთ აფთიაქში.

1 პროცენტი – ეს რაა, უნდა გვქონდეს ასეთ რამ სახლში?

სულ გამოკითხვაში 4068 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24